ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტი

სამართალმცოდნეობის და საჯარო მმართველობის ფაკულტეტი

სპეციალობა - საჯარო მმართველობის

მურად ძირკვაძე

თანამედროვე საჯარო სკოლის მართვის სტრატეგიები

საჯარო მმართველობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომი

თემის ხელმძღვანელი: ნესტან მამუჭაძე მასობრივი კომუნიკაციის აკადემიური დოქტორი

ხიჭაური - 2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება თანამედროვე საჯარო სკოლის მართვის სტრატეგიების შესწავლას. ნაშრომის თემის აქტუალურობა განპირობებულია, განათლების როლის მნიშვნელობით ადამიანის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში. პიროვნების განვითარება და მისი რეალიზება საზოგადოებაში სწორედ სკოლიდან იწყება. ამ ყველაფრის სათავეში კი, ცალსახად დგას სახელმწიფო, რომელიც გვთავაზობს სისტემის მართვის სტრატეგიებს.

ნაშრომის პირველ თავში საჯარო სკოლის ცნება და განათლების სისტემის სტრატეგიებია განხილული: თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლას და როგორია მისი მართვის, საგანმანათლებლო უწყების თავისებურებანი, რა რეგულაციები და სამართლებრივი აქტები არსებობს განათლების სისტემაში (როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების მაგალითზე).

მეორე თავში შესწავლილია საჯარო სკოლის ისტორიული ფაქტები და მოვლენები ძველ საბერძნეთსა და რომაულ სამყაროში, ასევე საქართველოს განათლების სისტემის ჩამოყალიბება და ადრეული პერიოდის სკოლის შესახებ არსებული ისტორიული წყაროები. ისტორიულად, ამ ყველაფრის გვერდით ყოველთვის სახელმწიფო იდგა. ცხადია, ნებისმიერი განვითარებული სახელმწიფოს უპირველესი პრიორიტეტი განათლება უნდა იყოს. ისტორილად, კულტურულ-აღმზრდელობითი და საგანმანათლებლო საქმიანობა გახლდათ რიგი პროცესების მარეგულირებელი და გარდამტეხიც.

რაც შეეხება ნაშრომის მესამე თავს, იგი ეძღვნება თანამედროვე საჯარო სკოლებში არსებული სასწავლო პროცესის განვითარებას, მის მართვას, განათლების მიღების პროცესში სახელმწიფო და საგანმანათლებლო სტრუქტურებისა და მშობლის ურთიერთობას, საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობას. ამ კომპონენტთა ერთობა საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და ღირებულებების ჭრილშიცაა განსახილველი.

სამაგისტრო ნაშრომში წარმოჩენილი და განხილულია ინოვაციური ასპექტები, რაც დასტურდება ჩვენ მიერ ჩატარებული სოციალური კვლევით.

Summary

This master's work refers to study managing strategies of modern public school. The actuality of the topic is caused by the meaning of the education role in a person's development and formation. A person's development and realization in society starts from school and its source is the state which gives us managing strategies of the system.

In the first chapter of the work I have discussed the notion of a public schooland strategies of educational system: how important a school is and what are its managing and educational characteristics, what regulations and laws exist in the educational system. (not only in Georgia but in other countries as well).

In the second chapter I have studied historical facts and events of a public school in ancient Greece and Rome, also the origin of Georgian educational system and historical sources about early period schools. Historically, the state was always supported these processes. It's clear that the priority of any advanced country must be education. Historically, cultural and educational activities were regulating and decisive in many processes.

As for the third chapter it deals with the learning process development, its management, the relationship between state and educational structures and parents, the importance of society involvement at modern public schools. The unity of these components must be discussed considering social relations and values.

In this master's work I have presented and discussed innovative aspects which is proved by sociological research conducted by us.

სარჩევი

შესავალი.....
. 5

თავი I. საჯარო სკოლის ცნება და განათლების სისტემის სტრატეგიები..... 9

1.1 საჯარო სკოლა და მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში..... 9

1.2 საჯარო სკოლის მართვა და საგანმანათლებლო უწყების თავისებურებები..... 14

1.3 საქართველოში არსებული სამართლებრივი აქტები და საერთაშორისო კანონმდებლობა..... 21

თავი II. საჯარო სკოლის მიმოხილვა ისტორიულ რაკურსში.....
24

2.1 საგანამანათლებლო დაწესებულებებისისტორიული მიმოხილვა ძველი ბერძნულ-რომაულ ეპოქაში..... 24

2.2 საგანამანათლებლო დაწესებულებების ისტორიული მიმოხილვა ძველი ქართულ სკოლის ისტორიიდან..... 31

2.3 განათლება, როგორც ეპოქის განმსაზღვრელი მახასიათებელი.....
36

თავი III. თანამედროვე სკოლის სასწავლო პროცესის განვითარება.....
40

3.1 სკოლის განვითარება და სასწავლო პროცესის მართვა..... 40

3.2 მშობელთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც თანამედროვე სკოლის უმთავრესი გამოწვევა..... 46

3.3 მართვის თეორია და კულტურასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი..... 50

კვლევა.....
53

დასკვნა.....
63

გამოყენებული ლიტერატურა.....
65

შესავალი

საჯარო სკოლები და მასთან დაკავშირებული მართვის სტრატეგიები თანამედროვეობის ერთობ საინტერესო, რთული და აქტუალური საკითხია. დღევანდელი გადასახედიდან, ეს მიმართულება გააქტიურებას საჭიროებს. ცხადია, ამ ყველაფერში განუზომელია საჯარო სკოლებისა და სახელმწიფოს კომუნიკაციური პროცესი.

ვთანხმდებით, რომ დღეს ინფორმაციულ საზოგადოებაში განათლება იმაზე მაღლა დგას, ვიდრე აქამდე ყოფილა. ახალი თაობა მის მნიშვნელობაში უფრო და უფრო ღრმად სწვდება, რაც ერთობ სახარბიელოა. ამ შემთხვევაში კი სკოლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც საწყის ინსტიტუციას. ის არის განათლების მიღების პირველი და პრიორიტეტული საფეხური, რომელმაც უნდა უზრუნველყოს მოზარდის საბაზისო განათლება და შემდგომ განვითარებას ჩაუყაროს საფუძველი.

უპირველესყოვლისა, უნდა გვესმოდეს, რომ საგანმანათლებლო სტრუქტურაში არსებული სტრატეგია გადახედვასა და შესწორებას საჭიროებს. სახელისუფლებო ინსტიტუტის მხრიდან, როგორც მარეგულირებელ მხარეს, უნდა გააჩნდეს ამბიცია შეცვალოს და დანერგოს მოსწავლეზე ფოკუსირებული პროგრამები, იქნება ეს გაცვლითი, თუ ლოკალურ დონეზე ჩატარებული პილოტური აქტივობები, დახვეწოს ტესტირებისა და საგამოცდო სისტების სპეციფიკური მხარეები, რაც მიგვაჩნია, რომ თავის მხრივ ხელს შეუწყობს პრობლემების აღმოჩენასა და გადაჭრას.

საკითხის აქტუალურობა განპირობებულია თანამედროვე სამყაროში განათლების მნიშვნელობით და შესაბამისი რეფორმის გატარების აუცილებლობით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ცოდნას ოდითგანვე დიდ ყურადღებას უთმობდნენ ადამიანები და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტად განევითარებინათ საკუთარი უნარები, გაეფართოვებინათ შესაძლებლობების არეალი და გაეუმჯობესებინათ მომავალი. ადამიანი - პირველად საზოგადოებაში გამოდის, თავის დამკვიდრებას იწყებს სკოლაში და ეს ხდება ადრეულ ასაკში, ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს სკოლას, გარემოს, მასწავლებელს და მათ დამოკიდებულებას ბავშვის მიმართ. რამდენად სწორი მიდგომები აქვს შემუშავებული დირექციას და რა არის საჭირო იმისათვის, რომ უფრო კარგად მოახდინოს მასწავლებელმა საკუთარი შესაძლებლობის რეალიზება - ბავშვებთან ურთიერთობის თვალსაზრისით.

აღნიშნული ასპექტის სიმწვავეს თანამდროვე საქართველოში მიმდინარე რეფორმებიც განსაზღვრავს. განათლების სამინისტრო არაერთგზის შეეცადა დაენერგა და განევითარებინა საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტი, სადაც პრიორიტეტი მასწავლებლისა და მოსწავლის მოქნილ ურთიერთობას ენიჭება. ასევე მნიშვნელოვანია, მშობლისა და სკოლის ურთიერთობა, საზოგადოების ჩართულობა საჯარო სკოლის საგანმანათლებლო პროცესის განვითარებისათვის. მცდელობა დღემდე გრძელდება. ამ ყველაფრის შედეგებსა და მოსალოდნელ ასპექტებზე თემის ძირითად ნაწილში დავკონკრეტდებით.

ნაშრომის მიზანია შეისწავლოს არსებული განათლების სისტემის მდგომარება საჯარო სკოლებში. რამდენად ხარისხიანად ინერგება და ხორციელდება რეფორმა? არის თუ არა ნაყოფიერი სასწავლო პროცესი? რა დადებითი და უარყოფითი მხარეები იკვეთება სასწავლო პროცესში? როგორია მშობლისა და სკოლის ურთიერთდამოკიდებულება? რა მართვის მეთოდებს იყენებს სკოლის მენეჯმენტი და რამდენად ეფექტურია არსებული და უკვე განხორციელებული რეფორმები?!

ნაშრომის მიზანია განიხილოს საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარების მთავარი მიმართულებები და პრიორიტეტები. მასში ასახულია განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევები და მიმდინარე

გლობალური ტენდენციების შესაბამისი საკვანძო ცვლილებები, განათლებისა და მეცნიერების სისტემის წინსვლის ძირითადი მიმართულებები სასკოლო დაწესებულებებში. ვცდილობთ, გამოვავლინოთ და განვიხილოთ ის ხარვეზები, რაც დღეს საგანმანათლებლო სექტორში აქტიურადაა და დავისახოთ მისი გადაჭრის გზები.

კვლევის საგანს წარმოადგენს სსიპ ნადიმ ართმელაძის სახელობის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბეღლეთის საჯარო სკოლა. როგორია მისი მართვის მეთოდები, რამდენად ხარისხიანად ხორციელდება მენეჯმენტი და აკმაყოფილებს, თუ არა საერთაშორისო სტანდარტებს? რამდენად სწორი და ნაყოფიერია მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივი მუშაობა? რა ღონისძიებებს ატარებს სკოლა იმისათვის, რომ სკოლის, როგორც ცოცხალი ორგანიზმის მუშაობაში ჩართული იყოს მშობელი და საზოგადოება? ...

კვლევის მეთოდები. აღნიშნულ საკითხზე ჩავატარეთ მცირე მასშტაბიანი კვლევა (ინტერნეტ-გამოკითხვა). რომლის მთავარ ამოცანას ის მიმდინარე ფონი წარმოადგენდა, რასაც განათლების სამინისტრო დღეს ახორციელებს. კვლევის მეთოდებიდან გამოვიყენეთ რაოდენობრივი, ნახევრად სტრუქტურული ინტერვიუს სახით. ამ ნაწილში შერჩეულ იქნა სკოლაში წამყვან პოზიციაზე მომუშავე თანამშრომლები. საზოგადოებას ალბათ, დააინტერესებს შედეგების ვალიდურობის საკითხი, თუმცა ამ ეტაპზე აქცენტი გაკეთდა ზოგად მოკვლევაზე, თუ რა დამოკიდებულება იკვეთება აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და როგორია დღეს არსებული შეფასებები საჯარო სკოლებში განათლების სისტემის შესახებ. კითხვარი შეირჩა ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომების, სამეცნიერო სტატიების, კვლევებისა და ხელისუფლების მიერ შემუშავებული სტრატეგიების საფუძველზე.

ლიტერატურის მიმოხილვა. ამ მიმართულებით ლიტერატურის სიმწირეს არ განვიცდით, თუმცა იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი კვლევა უფრო პრაქტიკული ხასიათისაა, თემის ჩამოყალიბების პროცესში გამოვიყენე არაერთი კვლევა, სტატიები, პუბლიკაციები, სხვადასხვა ექსპერტების მიერ შფასებული საგანმანათლებლო პროგრამები; საერთაშორისო დონეზე აღიარებული სტანდარტების კრებული და გატარებული რეფორმები, ბავშვთა უფლებებისა და კონვენციის ჩანაწერები,

განათლებისა და საქართველოში საკონსიტუციო დონეზე დამტკიცებული დოკუმენტები, სხვადასხვა უცხოური ლიტერატურა, ინტერნეტ გაზეტებზე განთავსებული ნაშრომები, ისტორიული და ბიბლიოგრაფიული ნაშრომები. გარდა ამისა თემაში არგუმენტაციისთვის გამოვიყენე ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა სამაგისტრო ნაშრომის შესახებ (დანართი 1). ლიტერატურა დამეხმარა ნათლად და საფუძვლიანად, მყარი არგუმენტების საფუძველზე ჩამომეყალიბებინა სამაგისტრო ნაშრომი და ყურადღება გამემახვილებინა ძირითად პრობლემებზე. (ძირითადად ვიხელმძღვანელე ინტერნეტით).

სამაგისტრო ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება – საკითხი, რომლის შესახებაც გადავწყვიტეთ სამაგისტრო ნაშრომის დაწერა, საკმაოდ აქტუალურია. ეს გამოიხატება მის დანიშნულებასა და მნიშვნელობაში, როგორც – ინსტიტუცია, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. პრობლემის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება დამოკიდებულია, თუ როგორი სიღრმისეულად იქნება ის განხილული, გაანალიზებული. ის, რომ მომავალი თაობა ვერ იღებს საფუძვლიან განათლებას და ამას ემატება არაკვალიფიციურ მასწავლებელთა პრობლემაც, ეს ცხადია ნებისმიერი მშობლის, მოსწავლის, განათლების სამინისტროს პრიორიტეტია. სწორედ ამიტომ, მიგვაჩნია ცოდნის ირგვლივ არსებული მდგომარების განხილვა მნიშვნელოვნად და საკვანძო საკითხად.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა - სამაგისტრო ნაშრომი შედგება შესავლის, ძირითადი ნაწილისა და დასკვნისაგან. ძირითადი ნაწილი შედგება თავებისაგა, რომელიც საკუთრივ ქვეთავებადაა დაყოფილი. ნაშრომი ჯამში შეადგენს

თემა მოიცავს სამ ძირითად თავს, რომლებიც თავის მხრივ შედგება სამი ქვეთავისგან. ნაშრომს თანდართული აქვს კვლევა - დანართის სახით და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა.

პირველი თავში განხილულია **საჯარო სკოლის ცნება და განათლების სისტემის სტრატეგიები.** ვიმსჯელე, თუ რა როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში ,,სკოლის" ფენომენი და რა ფასეულობების მატარებელია მისთვის საგანმანათლებლო დაწესებულება. არსებულ რეალობაზე დაყრდნობით გავაანალიზეტ საჯარო სკოლების

მართვის სტრუქტურა და მიმართულებები. მეორე თავში ძირითადად საუბარია **ისტორიულ რაკურსში საჯარო სკოლების მიმოხილვაზე.** საკმაოდ საინტერესოა ძველი ბეძნულ–რომალი სკოლების განვითარების თანამდევი პროცესები. ამ თავში გაეცნობით, თუ როგორ იღებდნენ ბერძენი და რომაელი ბავშვები განათლებას, რას ანიჭებდნენ უპირატესობას აღზრდის პროცესში. ასევე წაიკითხავთ ქართული სკოლების განვითარების ეტაპებს, ეპოქას სადაც საქართველოს შვილები იღებდნენ განათლებას. სკოლები, რომელბიც სხვადასხვა ქართველმა დიდოსტატმა ჩაუყარა საფუძველი. მესამე თავში აქცენტი **თანამედროვე სკოლის სასწავლო პროცესის განვითარებაზეა** გაკეთებული. აქ ვიმსჯელებთ სკოლის მართვასა და განვიტარებაზე. სკოლაზე, როგორც მთავარ აღმზრდელობით დაწესებულებაზე, მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობასა და გავლენაზე. მართვის თეორიასა და კულტურასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტზე.

ხოლო დანარჩენ ნაწილში თქვენ გაეცნობით საკითხზე ჩატარებული კვლევის შედეგებსა და დასკვნას.

თავი I. საჯარო სკოლის ცნება და განათლების სისტემის სტრატეგიები

1.1 საჯარო სკოლა და მისი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“

სკოლა არის სასწავლო დაწესებულება, სადაც გარკვეული დროის განმავლობაში მოსწავლეები განათლებას იღებენ.

ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სწავლობს. აცნობიერებს რა, რომ ეს არის გზა კეთილდღეობის, განვითარებისათვის, კომფორტსა და შესაძლებლობებზე ორიენტირებული. საზოგადოებას, რომელსაც ესმის სწავლა–განათლების ფასი, არის და იქნება მუდმივი პერსპექტივის ზღვარზე.

ბავშვის მსოფლმხედველობა ყალიბდება სკოლაში, გარემოში, სადაც თანატოლებთან ერთად აღმოაჩენს, ისწავლის ახალს და შემდეგ ამას, როგორც გამოცდილებას, ისე აითვისებს. სწავლის პროცესი ერთის მხრივ ცხოვრების გადამწყვეტ ეტაპად შეიძლება ჩაითალოს, ხოლო მეორე მხრივ, ეს არის საშუალება

განვითარდე და აღმოაჩინო საკუთარი შესაძლებლობები. ამ პროცესში უდიდესი წვლილი შეაქვს სკოლას, მშობელსა და იმ პროგრამებს, რომლებიც ხორციელდება განათლების მიღების პროცესში. არაკვალიფიციური კადრი პირდაპირპროპორციულია უცოდინრობისა. საქართველოში არსებული რეგულაციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად ნაყოფიერია ბავშვისთვის, არ გვაძლევს გარანტიებს: სწავლა - ზედაპირული, მასწავლებელი - არაკვალიფიციური, მშობელი - მინიმალურად ჩართული სასწავლო პროცესში, ხოლო მოსწავლე - მოტივაციის გარეშე.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, განათლების მიღება ყველა ბავშვის ფუნდამენტური უფლებაა. კონვენციაში გამოკვეთილი თითოეული უფლება ეხება თითოეულ მოზარდს, ყოველგვარი დისკრიმინაციული გამონაკლისის გარეშე. ბავშვის უფლებათა ამგვარ ფართო აღიარებას მხოლოდ თეორიული საფუძველი არ გააჩნია. მსოფლიოს თითოეულ ქვეყანაში ბავშვის უფლებები განმტკიცებულია კონკრეტული ღონისძიებებით საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და აღმასრულებელ სფეროებში.

ბავშვი სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს განიცდის, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს მოსწავლის ფიზიკური, ინტელექტუალური, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური თუ სხვა მდგომარეობით.

სწავლის პროცესში დილემის წინაშე შეიძლება ნიჭიერი ბავშვიც დადგეს, ეთნიკური, კულტურული უმცირესობის და სხვა მარგინალური ჯგუფის წარმომადგენლები. ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ვალდებულებას კი წარმოადგენს მოძებნოს ყველა ბავშვის წარმატებით სწავლების გზები.

განათლების მიღების გზაზე პირველ საფეხურს სკოლა წარმოადგენს. სკოლა არის პირველი დაწესებულება, სადაც ფეხის შედგმით ადამიანი ადრეულ ასაკში იწყებს საზოგადოებასთან ურთიერთობას, საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზებას. ხდება მისი პიროვნული ჩამოყალიბება, ზოგადი განათლებისა და წარმოდგენის შექმნა სამყაროზე.

სასწავლო პროცესში ყველაზე დიდი როლი მასწავლებელს ეკისრება, მის პედაგოგიურ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, რამდენად მოახერხებს ბავშვი ადრეულ ასაკშივე აქტიურად ჩაერთოს განათლების მიღების პროცესში.

ინსტიტუციაში მონაწილებს ორი უმთავრესი ბირთვი, რომელთა ნაყოფიერი საქმიანობაც სწორი, ეფექტური მენეჯმენტითაა განპირობებული. მოსწავლეზე ორინეტირებული რეფორმები და მისი პრიორიტეტები, მოქნილობა თანამედროვეობაში დამოკიდებულია სწორედ მასწავლების პროფესიონალიზმსა და სკოლის მხრიდან სწორად განხორციელებულ კომუნიკაციაზე.

თითოეული პედაგოგისათვის ცნობილი ფაქტია, რომ ბავშვობაში საფუძველჩაყრილი ქცევების აღმოფხვრა შეუძლებელია და სწორედ იმ ასაკში იწყებს მოზარდი სკოლაში სიარულს, როდესაც მეტად ფაქიზი და ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება, რათა არ მოხდეს მისი დათრგუნვა და საზოგადოებისგან გარიყვა.

სკოლა ზოგადად წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულებას და მისი მიზანია გარკვეული ტიპის განათლება მისცეს ადამიანებს. ცოდნას მოსწავლე იღებს მასწავლებლისგან და ხდება სასწავლო პროცესის ჩამოყალიბება. აღნიშნული დაწესებულება შესაძლოა იყოს სხვადასხვა ტიპის – საჯარო სკოლა, სპეციალური, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, რაიმე მიმართულებით სპეციალიზებული სკოლა, მაგრამ არსი ერთი და იგივეა – ,,ადამიანები მიდიან განათლების მისაღებად და ამ პროცესში მათ ეხმარება მასწავლებელი, როგორც მედიატორი.“ [განათლებისა და მეცნიერების სისტემების განვითარების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წ. გვ 10]

საჯარო სკოლის მთავარი ამოცანაა მოსწავლეს მისცეს სრულად ჩამოყალიბების, ფიზიკურად განვითარებული პიროვნების უნარ-ჩვევები, რათა შემდგომი ეტაპების გავლა შეძლოს დაუბრკოლებლად და მიაღწიოს პიროვნული განვითარების სრულყოფილ, სასურველ შედეგს. ამავდროულად, საგანმანათლებლო საგნები და ტრაექტორიები შეიძლება იყოს ყველაზე მრავალფეროვანი, ყოვლისმომცველი და განსხვავებული თითოეული სუბიექტის მიმართ. იგი მიზნად ისახავს ინტელექტუალური და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების რეალიზაციისათვის აუცილებელი გარემოს შექმნას,

უწყვეტი თვით-განათლების საჭიროების ჩამოყალიბებას, აქტიურ მოქალაქეობას, ჯანდაცვის კულტურასა და სოციალურად ადაპტირების შესაძლებლობას.

რაც შეეხება მშობლებს, სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო მომსახურების ფართო სპექტრი გაზარდოს, რათა უფრო მეტმა მოსწავლემ მიიღოს ხარისხიანი სასკოლო განათლება და შექმნას პირობები ბავშვის ფსიქიკური, ფიზიკური, სულიერი პოტენციალის მაქსიმალური განვითარებისთვის.

როგორც შესავალ ნაწილში აღინიშნა, უმნიშვნელოვანესია მასწავლებლის პროფესიული კადრების არსებობა. მასწავლებლის თვითრეალიზების პირობებს ქმნის მათი სოციალური დაცვა და განვითარება. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, როგორც მოსწავლის კეთილდღეობას ასევე მასწავლებელი, როგორც აღმზრდელის როლის შემსრულებლისთვის. ბუნებრივია, როდესაც მას სამინისტრო არ აძლევს მოტივაციას (რა თქმა უნდა აქ მხოლოდ მატერიალური მხარე არ იგულისხმება), ეს აისახება სწავლების ხარისხზეც. ჯაჭვური რეაქციით კი ეს ავტომატურად უტოლდება არაჯანსაღ თაობას.

მნიშვნელოვან ვექტორს წარმოადგენს, თუ რა როლი აქვს საზოგადოებასთან მიმართებაში ამ საკითხს. სკოლის მისიასა და პრიორიტეტს სწავლის განვითარებისა და განხორციელებისას რაც შეიძლება მეტი სუბიექტი და სოციალური ინსტიტუტი ჩაერთოს, რათა განათლების რესურსების (პერსონალი, მასალა, ინფორმაცია და ა.შ.) ,,სრულყოფა მოხდეს, იმ საჭიროების მიხედვით - რა საზოგადოებრივი მოთხოვნაც არის არსებულ რეალურ გარემოში.“ [განათლებისა და მეცნიერების სისტემების განვითარების სტრატეგიული მიმართულებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2015 წ. გვ 11]

მნიშვნელოვანია მოტივაცია საზოგადოებასთან და სახელმწიფოსთან მიმართებაში, საჯარო სკოლის მიზანია განახორციელოს პიროვნების განვითარების პროგრამები, რომლებიც ქმნიან ადამიანის პროდუქტიული შემოქმედებითი საქმიანობას სხვადასხვა დარგში და შემდგომში ეს წარმატებული ადამიანები განახორციელებენ ცვლილებებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სახელმწიფოს მხრიდან სკოლებში და ზოგადად განათლების სიტემაში ჩადებული ინვესტიცია უკეთესი მომავლისა და ქვეყნის განვითარებისათვის ყველაზე დიდი საწინდარია,

რადგან თანამედროვე სამყაროში ცოდნას და განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და პრივილეგირებულია ის ვინც უფრო მეტ გონებრივ შესაძლებლობებს ფლობს.

სწორედ ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სკოლამდელი განათლების სრულყოფა. სასურველია გაიზიაროს რა სახელმწიფომ საკუთარი ვალდებულება, ამით ის ხელს შეუწყობს უამრავ ცვლილებას. კანონმდებლობის დონეზე მსჯელობისას, უამრავი არგუმენტის მოყვანა შეიძლება, რათა დავადასტუროთ, რომ სექტორი არ ან ვერ უზრუნველყოფს ახალი ტენდენციების დანერგვას. პოსტსაბჭოური სისტემის თანამედროვედ გარდაქმნის მიზნით არაერთი რეფორმის ჩატარება გახდა საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ პირველად განხორციელებული ინვესტიციები წარმატებული აღმოჩნდა, შემდგომში არაეფექტურმა პოლიტიკის გატარებამ ვერ მოგვცა გარანტიებიდაწყებულ ცვლილებებზე.

სკოლის არსსა და მნიშვნელობაზე საუბრისას, აუცილებელია განისაზღვროს მისი უდიდესი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში. ამიტომ საყურადღებოა სახელმწიფოს მიდგომები და მცდელობები სასკოლო პროცესის სრულყოფის მიზნით. გარდა მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობისა, სკოლა მოიცავს ისეთ საჭიროებებს, როგორიცაა სკოლის ინფრასტრუქტურა და გარკვეული სფეროსთვის საჭირო ინვენტარი.

სკოლის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ადამიანს კანონის შესაბამისად მისცეს განათლება. მიუხედავად ამისა, არის რიგი გამონაკლისი შემთხვევები. ადამიანები მუდმივად ვითარდებიან, ცვლიან დამოკიდებულებას სხვადასხვა საკითხების მიმართ. მისი განვითარებისათვის და პიროვნული რეალიზაციისათვის აუცილებელია განათლების გარკვეული ეტაპების და დონის გავლა. განათლება თანამედროვე მსოფლიოსათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და პრიორიტეტულ სფეროს წარმოადგენს, როგორც ცალკეული ადამიანების წარმატებისათვის, ასევე სახელმწიფოსთვის. თანამედროვე ეკონომიურად ძლიერი სახელმწიფოები, მუდმივად ცდილობენ განათლების სფეროს განვითარებას და ახალი ტექნოლოგიების დანერგვას. ინდივიდუალურ მიდგომებს საზოგადოების სხვადასხვა კატეგორიებთან,

რომელთაც განსხვავებული შესაძლებლობები აქვთ ფართო მასებთან შედარებით. სწორედ ასეთი საზოგადოების მცირე ნაწილებისთვის შეიქმნა და დაინერგა იდეა ინკლუზიური განათლების სისტემის შექმნის.

სიტყვა „ინკლუზია“ ინგლისური თარგმანიდან ნიშნავს „ჩართვას“, ხოლო ინკლუზიური განათლების მნიშვნელობა არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართვა ზოგად საგანმანათლებლო პროცესებში თანატოლებთან ერთად. ამ უფლებების შესახებ არის საუბარი, როგორც სხვადასხვა საერთაშორისო დოკუმენტებში, ისე საქართველოს კანონში ზოგადი განათლების შესახებ. ,,დღეს დღეობით ჩვენს თანამედროვე სამყაროში ინკლუზიური განათლება ცოდნის მიღების სისტემის ნაწილი ხდება და სკოლაზე საუბრისას აუცილებელია გათვალისწინებული იყოს ეს ფაქტორიც.“ [ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი,2016]

ინკლუზიური განათლება - ეს არის სასკოლო პროცესის სისტემის მუდმივი გაუმჯობესება. ამ პროცესის მიზანია, განათლების სისტემა უფრო და უფრო ღია გახდეს და რაც შეიძლება მოქნილი იყოს განსხვავებულობისა და მრავალფეროვნების მისაღებად. [UNESCO,2009] მისი მიზანია მოხდეს ყველა ბავშვის ჩართვა განათლების მიღების პროცეში. დაიცვას მათი უფლება, რომლიც მინიჭებული აქვთ სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტების მიერ (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2006- ეს ყველა საკანონმდებლო დოკუმენტი ერთ ხმად აცხადებს რომ ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს განათლება).

სწორედ ამ კანონებზე და ბავშვთა უფლებეის დაცვის საფუძველზე ინკლუზიური განათლების პოლიტიკა ცდილობს ყველა ბავშვის ჩართვას სასწავლო პროცესში, თემის განხილვისას ცალსახად გამოკვეთილია ინკლუზიური განათლების მიზანი - ყველა ბავშვს მიეცეს თანაბარი შესაძლებლობა თანატოლებთან ერთად ხარისხიანი სწავლა განათლების მიღება, საცხოვრებელ ადგილთან ახლოს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინკლუზიური განათლების მიზანი არ არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლემ არაპროდუქტიულად

გამოიყენოს სასწავლო პროცესის დრო და მხოლოდ დაესწროს სასწავლო პროცესს, ინკლუზიური განათლება მოითხოვს სკოლის დაუღალავ შრომას, რათა გაძლიერდეს და განვითარდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის შესაძლებლობები, გაუმჯობესდეს მოსწავლის აკადემიური და სოციალური უნარ-ჩვევები, მოამზადოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აქტიურად შეუწყოს ხელი მოსწავლის საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებას. რათა მან შემდგომში ზრდასრულმა შეძლოს საკუთარი თავის რეალიზაცია.

1.2 საჯარო სკოლის მართვა და საგანმანათლებლო უწყების თავისებურებები

ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „სწავლების კარგად წარმართვაზე დამოკიდებულია არამცთუ სვე–ბედი მომავალი თაობისა, არამედ სვე ბედი თვით ქვეყნისაც, რადგანაც ქვეყნის მომავალი მომავალი თაობის კუთვნილია და, მაშასადამე, მის ხელთ იქნება".

პირველ ქვეთავში ვისაუბრეთ საჯარო სკოლის ფუნქციური არსისა და რიგი თავისებურებების შესახებ სახელმწიფო ინსტიტუტებთან მიმართებაში. წინამდებარე თვში კი დავკონკრეტდებით სასკოლო მენეჯმენტის შესახებ - საინტერესოა, ამ თვალსაზრისით რა გამოწვევების წინაშე დგას საგანმანათლებლო უწყება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მართვა გულისხმობს ორგანიზაციული მიზნის მისაღწევად მრავალი რესურსის გამოყენებას, მათ შორის, ადამიანური და ტექნიკური. მართვაში ლიდერისა და მენეჯერის ფუნქციების ერთმანეთისაგან გამიჯვნა უნდა მოხდეს. ,,მენეჯერი ასოცირდება გარკვეულ თანამდებობის პირთან, რომელიც ფორმალური ავტორიტეტის ფლობის პირობებში, პასუხისმგებელია და ამავდროულად, ექვემდებარება ზემოდგომ თანამდებობის პირს. ამის საპირისპიროდ, ორგანიზაციაში ლიდერი არ ექვემდებარება რომელიმე პირს." [CVIL EDUCATION OPEN SOCIETY- GEORGIA 2007]

სკოლის ეფექტურ მართვას ესაჭიროება სტრატეგიული დაგეგმვა. სტრატეგიული დაგეგმვა ნებისმიერი ორგანიზაციის, მათ შორის სკოლის, ნორმალური ფუნქციონირების განუყოფელი ნაწილია.

მისი მიზანია, განსაზღვროს სკოლის ხედვა და მისია, მისი გრძელვადიანი მიზნები და მათი მიღწევის საუკეთესო და რეალისტური საშუალებები. საგანმანათლებლო სტანდარტები ფუნდამენტურ როლს ასრულებს სკოლის სასწავლო სისტემაში. საქართველოში საგანმანათლებლო სტანდარტები ეროვნულ დონეზე მუშავდება. რაც შეეხება სამეურვეო საბჭოს, მას შეუძლია, სკოლის დონეზე დამატებითი სტანდარტები დაადგინოს, რომლებიც თანხვედრაში იქნება ეროვნულ სტანდარტებთან, მაგრამ ამასთან უფრო დეტალურ განსაზღვრებებს მისცემს სკოლას. სტანდარტები საერთო მიმართულებებს იძლევა საკლასო სწავლების, შეფასების სისტემისა და რესურსების გამოყენებისთვის. იგი ეხმარება პედაგოგსა და სკოლის დირექტორს, განსაზღვროს პრიორიტეტები სასწავლო დროის გამოყენების

თვალსაზრისით. სტანდარტები ქმნის მოლოდინს იმისას, რომ თითოეულმა მოსწავლემ მაღალი ხარისხის განათლება მიიღოს.

სტრატეგიულმა გეგმამ უნდა შეძლოს საჭიროების შესაფერისად განსაზღვრა - რა ღონისძიებებს და პროგრამებს განახორციელებს მოსწავლეებთან. თითოეული მოსწავლის საჭიროება და ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო მიდგომა უნდა იყოს გათვალისწინებული შეძლებისდაგვაარდ.

სასურველია, რომ სკოლის სტრატეგიული გეგმა შემდეგ კითხვებს პასუხობდეს: რა არის სკოლის მისია და ხედვა? რატომ არსებობს სკოლა და რის მიღწევა სურს მას მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში? რა მომსახურებას სთავაზობს სკოლა საზოგადოებას? რა მომსახურება უნდა შესთავაზოს მომავალში? ვინ იღებს სარგებელს სკოლის მომსახურებით? როგორ შეიძლება შეიცვალოს სამიზნე ჯგუფების მოთხოვნილებები მომავალში? როგორ უპასუხებს სკოლა ამ ცვლილებებს?.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სასკოლო საგანმანათლებლო უწყება საქათველოში არსებობს ორი სახის: საჯარო და კერძო სკოლა. საჯარო სკოლა გულისხმობს სკოლას, რომელიც ფინანსდება სახელმწიფოს ბიუჯეტიდან და ყველა ადამიანს აძლევს შესაზლებლობას მიიღოს განათლება. საჯარო სკოლები მდებარეობს ყველა სოფელსა და რეგიონში, შესაბამისად მოსახლეობის რაოდენობისა და საჭიროების.

რაც შეეხება კერძო სკოლას, ის ითვალისწინებს კანონს საქართველოში არსებული განათლების შესახებ, ასევე ვრცელდება მასზე არსებული რეგულაციები განათლების სამინისტროს მხირდან, მაგრამ ის წარმოადგენს კერძო სკოლას და მასში სწავლა არის ფასიანი. თითოეული სკოლის მენეჯმენტი თვითონ განსაზღვრავს მართვის მეთოდებს და სპეციალიზირებულ საგნებს.

საჯარო სკოლის მაგალითზე შეიძლება განვიხილოთ არსებული სტრუქტურაც. და მაინც რა ხდება საგანმანათლებლო დაწესებულებაში და როგორია მათი მართვის სადავეები? სკოლებში, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ირჩევენ სამეურვეო საბჭოებს, რომლებიც ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად შედგება პედაგოგების, მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლებისგან. ამასთან, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფლებამოსილნი არიან, სამეურვეო საბჭოებში დანიშნონ თითო წევრი სათათბირო ხმის უფლებით.

,,უნდა აღინიშნოს, რომ სამეურვეო საბჭოს წევრს არ გააჩნია უფლებამოსილება, ინდივიდუალურად იმოქმედოს საბჭოს სახელით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სამეურვეო საბჭო ახდენს მასზე გარკვეული ფუნქციების დელეგირებას, ან როდესაც სკოლის წესდება ითვალისწინებს შესაბამის განსაკუთრებულ შემთხვევებს.“ [CVIL EDUCATION OPEN SOCIETY- GEORGIA 2007]

სამეურვეო საბჭო სტრატეგიულ როლს ასრულებს საჯარო სკოლის მართვაში, რაც გულისხმობს სკოლის მიზნებისა და პრიორიტეტების განსაზღვრას, ამ მიზნების მისაღწევი პოლიტიკის შემუშავებასა და სკოლის განვითარების ზედამხედველობას.

სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია და გააჩნია კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულება, ხელი შეუწყოს საჯარო სკოლაში არსებული ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტების მიღწევას. სამეურვეო საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს სკოლის განვითარებას მისი რესურსების ეფექტური მართვით და ამასთანავე უნდა უზრუნველყოს სასწავლო გეგმის მრავალფეროვნება და ნეიტრალურობა.

საბჭოს ფუნქციებია: დირექტორის არჩევა, რაც რეგულირდება „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად სამეურვეო საბჭო კანდიდატის მიერ წარდგენილი პროგრამის საფუძველზე სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე ირჩევს სკოლის დირექტორს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი მაქსიმუმ სამი (3) კანდიდატურიდან. თუმცა აქვე დავძენ, რომ მათ არჩევის წესიც საჭიროებს ერთგვარ მარეგულირებელ წერტილს. ეს საჭიროა, რადგან მრავალ წლიანი გამოცდილება მაფიქრებინებს – რამდენად სამართლიანად ხდება დირექტორის პოზიციაზე შესაბამისი პირის დანიშნვა? მოქმედებს თუ არა ნეპოტიზმის პრიორიტეტები. შეიძლება უცნაურია, როდესაც საჯარო სკოლის დონეზეც განვიხილავთ მსგავს ექსესებს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს – საქართველო არის ქვეყანა, რომელიც იზიარებს საერთაშორისო სტანდარტებს, პატივს სცემს მათ, თუმცაღა, როდესაც მათ განხორციელებაზე მიდგება საქმე ყველა ეკონომიას აკეთებს.

როგორც აღვნიშნეთ, სამეურვეო საბჭო სტრატეგიულ როლს ასრულებს სკოლის მართვაში, კერძოდ, იგი იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რას უნდა მიაღწიოს სკოლამ და შეიმუშავებს შესაბამის სამოქმედო გეგმას. ამდენად, სამეურვეო საბჭო: განსაზღვრავს სკოლის მიზნებსა და ამოცანებს; ამტკიცებს სკოლის პოლიტიკასა და პროცედურებს; ზედამხედველობს დასახული მიზნების განხორციელების პროცესს; განსაზღვრავს და გამოყოფს საჭირო რესურსებს სკოლის საქმიანობის მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად; გადაწყვეტილების მიღებისას სამეურვეო საბჭო ვალდებულია, განიხილოს სკოლის დირექტორისა და პედაგოგიური საბჭოს რეკომენდაციები. [CVIL EDUCATION OPEN SOCIETY- GEORGIA 2007]

სამეურვეო საბჭო ასევე უფლებამოსილია, გამოიყენოს სკოლის საქმიანობის ზედამხედველობის სხვადასხვა საშუალებები, რათა მოახდინოს დაკვირვება სკოლის მუშაობის პროცესზე და საჭიროების შემთხვევაში შეიტანოს მასში შესაბამისი ცვლილებები. მანდატურის სპეციფიკამ,ჩემი აზრით, არ გაამართლა. მიუხედავად მათი

არსებობისა, მაინც ცდება გაკვეთილები. მოსწავლე ან მიდის სკოლაში და არშედის გაკვეთილზე, ან საერთოდ არ მიდის და სკოლის მიმდებარედ ხარჯავს ენერგიას.

ფინანსური მართვა: სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს და სკოლის დირექტორის მიერ მომზადებულ წლიურ ფინანსურ ანგარიშს და უზრუნველყოფს მათ საჯაროობას. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლის თანახმად, სამეურვეო საბჭოს თანხმობა აუცილებელია ისეთი გარიგებების დადებისას, რომელთა ღირებულებაც აღემატება სკოლის ბიუჯეტის 5%-ს.

სამეურვეო საბჭო აკონტროლებს აგრეთვე სკოლის ადმინისტრაციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას: საბჭო ყოველ საფინანსო წელს ამტკიცებს ბიუჯეტს, ზედამხედველობას ახორციელებს დანახარჯებზე, სხვადასხვა ფინანსურ გადაწყვეტილებებსა და კანონმდებლობით ნებადართულ ფარგლებში საბიუჯეტო თანხების გადანაცვლებაზე, იძიებს ფინანსურ დარღვევებსა და სხვ.

მეტად მნიშვნელოვანია სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა. სამეურვეო საბჭო სკოლის დირექტორთან და პედაგოგებთან ერთად შეიმუშავებს და ამტკიცებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას, რომლითაც დარეგულირდება სკოლის თანამშრომელთა დასაქმებისა და შეფასების პროცედურები.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სკოლის დირექტორსა და მის ახლო ნათესავს შორის შრომითი ხელშე-კრულების დადება შესაძლებელია მხოლოდ სამეურვეო საბჭოს თანხმობის შემდეგ.

სამეურვეო საბჭო ირჩევს სკოლის დირექტორს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარდგენილი არა უმეტეს სამი კანდიდატურიდან დადებს მასთან შრომით ხელშეკრულებას. სამეურვეო საბჭო ასევე უფლებამოსილია, შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს. ამასთანავე, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, დირექტორს მოსთხოვოს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება მასწავლებელს, რომელიც დაარღვევს შრომითი ხელშეკრულების პირობებს, ჩაიდენს სააღმზრდელო

საქმიანობისათვის შეუფერებელ ქმედებას ან კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

სამეურვეო საბჭო სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში თანაბარი რაოდენობით შედიან მასწავლებლები, მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. დეტალებს სხვადასხვა კომიტეტების შექმნისა და ფუნქციონირების წესის შესახებ ამავე თავში ოდნავ მოგვიანებით შევეხებით, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტების შექმნისა და შემადგენლობის სპეციფიკური მოთხოვნები:

რადგან სკოლის თანამშრომელმა, მოსწავლემ ან მშობელმა შეიძლება გაასაჩივროს დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილება, სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, ან თვითონ განიხილოს დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების შესახებ საჩივარი, ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი, რომელიც განიხილავს თანამშრომლის საჩივარს;

სააპელაციო კომიტეტის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს იმაზე ნაკლები სამეურვეო საბჭოს წევრი, ვიდრე პირველ კომიტეტში. თითოეული კომიტეტი უნდა შედგებოდეს მინიმუმ სამი წევრისაგან. სამეურვეო საბჭოს იმისთვის, რომ უშუალოდ ჰქონდეს განსახილველ საკითხზე წარმოდგენა, შეუძლია კომიტეტებში შეიყვანოს თავისი წარმომადგენელი. სააპელაციო კომიტეტის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ სამეურვეო საბჭოს ის წევრები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ დისციპლინური კომიტეტის საქმიანობაში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი გადაწყვეტილების ობიექტურობა;

სწავლება, სწავლა და სასწავლო გეგმა - განათლების ხარისხი სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხას, რომელიც თავის მხრივ სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია. სახელმძღვანელოები შერჩეული უნდა იყოს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ რეკომენდებული/გრიფმინიჭებული სახელმძღვა-ნელოებიდან. თუმცა მასწავლებელს უფლება აქვს, სწავლებისას გამოიყენოს ნებისმიერი სხვა წიგნი, როგორც დამატებით, ისე ძირითად სახელმძღვანელოდ;

სამეურვეო საბჭომ თანხმობა უნდა გამოხატოს პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმებზე.

აქედან გამომდინარე, საბჭო ვალდებულია: გამოხატოს თანხმობა, შეასწოროს ან არ დაამტკიცოს პედაგოგიური საბჭოს მიერ მომზადებული სასკოლო სასწავლო გეგმები. სამეურვეო საბჭოსმიერ სასწავლო გეგმების დაუმტკიცებლობის შემთხვევაში პედაგოგიური საბჭო ვალდებულია, გადახედოს/შეცვალოს იგი საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე და სკოლის წესდებაში განსაზღვრული წესის მიხედვით, უზრუნველყოს სასკოლო სასწავლო გეგმების მრავალფეროვნება, მათი დაბალანსებული ხასიათი და რელევანტურობა, რაც შესაძლებელს გახდის განათლების მაღალი სტანდარტების მიღწევას, განახორციელოს სასკოლო სასწავლო გეგმების შესრულებაზე ზედამხედველობა, იმსჯელოს პედაგოგიური საბჭოს მიერ წარდგენილ ცვლილებებზე და დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს იგი.

საჯარო სკოლებში არსებული სამეურვეო საბჭო ასევე უფლებამოსილია, დაავალოს დირექტორს, ეროვნული სასწავლო გეგმების შესაბამისად დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით მიმართოს ეროვნული გამოცდების ცენტრს და დადოს მასთან შესაბამისი ხელშეკრულება.

ხოლო საჩივრების შემთხვევაში სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, საჯარო სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით აირჩიოს დისციპლინური კომიტეტი. კომიტეტი უნდა შედგებოდეს თანაბარი რაოდენობით წარმოდგენილი მასწავლებლების, მშობლებისა და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, თავად განიხილოს დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი.

სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში შექმნას სხვადასხვა კომიტეტები. კომიტეტების შექმნის, შემადგენლობის, საქმიანობისა და უფლებამოსილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამეურვეო საბჭო. ეს გადაწყვეტილებები ყოველწლიურად უნდა გადაისინჯოს. თითოეულ კომიტეტს შეიძლება თავმჯდომარეობდეს სამეურვეო საბჭოს წევრთაგან არჩეული პიროვნება. დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარის დანიშვნის წესის განსაზღვრა სამეურვეო

საბჭოს უფლებამოსილებაა. სამეურვეო საბჭომ, სასურველია, წელიწადში ერთხელ მაინც გადასინჯოს დისციპლინური კომიტეტის შექმნის, შემადგენლობის, უფლება-მოვალეობების შესახებ გადაწყვეტილებები. გარდა დისციპლინური და სააპელაციო კომიტეტებისა, საჭიროების შემთხვევაში სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, შექმნას სხვადასხვა კომიტეტები, მაგალითად, საფინანსო კომიტეტი, უფლებების დაცვის კომიტეტი, ეთიკის საკითხთა შემსწავლელი კომიტეტი.

ყველივე ზემოთ აღნიშნული კი მნიშვნელოვანი და საჭიროა იმისათვის, რომ საჯარო სკოლაში მართველობის სფეროში არსებული რაიმე პრობლემის შემთხვევაში არსებობდეს გამოსაყენებელი ბერკეტი არასწორი მიდგომის ან ხედვის შესაჩერებლად ეს თავის მხრივ ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და ეფექტურ მუშაობას.

1.3 საქართველოში არსებული სამართლებრივი აქტები და საერთაშორისო კანონმდებლობა

„ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება“ (საქართველოს კონსტიტუცია)

წინა საუკუნიდან დაწყებული, არსებობდა ინიციატივა – განათლება უკლებლივ ყველა ბავშვისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი.

1948 წლის 10 დეკემბერს მიღებულ იქნა საერთაშორისო აქტი – ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია. ეს აქტი მოიცავს პიროვნების ძირითად უფლებებს, და ერთ-ერთი ასეთი უფლება არის განათლების მიღების შესაძლებლობა. ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 26 მუხლის მიხედვით განათლება უნდა იყოს მიმართული პიროვნების სრულ განვითარებაზე და, განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას. [ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, გვ. 13].

დაწყებითი განათლება უნდა იყოს უფასო, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს ტექნიკური და პროფესიული განათლება, ხოლო უმაღლესი განათლება ერთნაირად ხელმისაწვდომი. [ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 13].

„ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1989 წლის 20 ნოემბერს ერთხმად დაუჭირა მხარი, მსოფლიო მასშტაბით იურიდიული დოკუმენტია . კონვენცია, რომელი 54 მუხლისაგან შედგება, მოიცავს არამარტო სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, არამედ სოციალურ და ეკონომიკურ უფლებებსაც. ამ მხრივ კონვენციას უთუოდ გამორჩეული ადგილი უკავია ადამიანთა უფლებების თემაზე შექმნილ დოკუმენტთა შორის.

ბავშვის უფლებების შესახებ გაეროს კონვენციაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი ძირითადი პრინციპები: ,,კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს უფლება აქვთ სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით, მიიღოს განსაკუთრებული განათლება და მომზადება, რათა შეძლოს სრულფასოვნად და ღირსეულად ცხოვრება ისეთ პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფს მის მაქსიმალურ დამოუკიდებლობას და სოციალურ ინტეგრაციას“.[ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხლი 23]

მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო მარეგულირებელ კანონზე საუბრისას განხილულ იქნას სალამანკას დეკლარაცია (1994).

სალამანკას დეკლარაციაში წარმოდგენილია შემდეგი ძირითადი უფლებები და ცნებები: „ყველა ბავშვს აქვს უფლება ისწავლოს ინკლუზიურ კლასში, ყველა ბავშვს აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესში, რათა მოხდეს მისი ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილება; ინკლუზიური განათლების განხორციელება სათანადო პირობებით უზრუნველყოფს მასში ჩართულ ბავშვებს; ინკლუზიური განათლება განაპირობებს ინკლუზიური საზოგადოების წარმოშობასა და ეფექტურობას“.

ბატონმა ლინდქისტმა, კონფერენციის ერთ-ერთმა დელეგატმა, აღნიშნა: რომ „განათლების სისტემებმა არ უნდა განსაზღვრონ ბავშვების კატეგორია განათლების მისაღებად, არამედ უნდა მოხდეს ამ სისტემების რეფორმირება, რათა ყველა ბავშვის განათლების უფლება იქნეს გარანტირებული (UNESCO,1994). [THE SALAMANKA STATEMENT AND FRAMEWORK FOR ACTION ON SPECIAL NEEDS EDUCATION, 1994]

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია – შშმ პირებს მიეკუთვნებიან ის ადამიანები ვისაც აქვთ, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან

სენსორული მყარი დარღვევები, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირების სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში.

24_ე მუხლის თანახმად მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარ უფლებას განათლებაზე. ამ უფლებების დისკრიმინაციის გარეშე, თანაბარ პირობებში რეალიზებისათვის. კონვენციაში მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვასა და მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების მიღების მისაწვდომობას. [ინტერნეტი, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, მუხლი 24]

2013 წელი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და მათ შორის ინკლუზიური განათლების საკანონმდებლო ჩარჩოს გაუმჯობესების კუთხით. 2013 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ (Convention on the Right of Persons with Disabilities) რატიფიცირების შესახებ.

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 35-ე მუხლის, 1 პუნქტის თანახმად: ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება.

ევროპასა და აზიაშიც კი, მსგავსი რეფორმები წარმატებით ხორციელდება. ინერგება არაერთი წარმატებული პროექტები, მარათონები, რომლებიც მოზარდებს სთავაზობენ აქტიურ და მათზე მორგებულ განათლების სისტემას. ისინი ცდილობენ პრობლემები თავად ბავშვებისგან, მოსწავლეებისგან გაიგონ და აქტიურად იმუშაონ ამაზე. საზღვარგარეთის პრაქტიკა მდიდარია მსგავსი აქტივობებით.

საქართველოს სახელმწიფო დანახარჯები სხვადასხვა ქვეყნებს უტოლდება, თუმცა ისინი განათლებაზე ორჯერ მეტს ხარჯავენ. მაგალითისთვის შეგვიძლია განვიხილოთ მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზის დასკვნები: ლატვიასა და ესტონეთში დანახარჯები საშუალოზე მაღალს შეადგენს – 29% ლატვიაში, ხოლო – 31% ესტონეთში, მაშინ

როდესაც ჩვენს ქვეყანაშიც – 29% – ია. მაგრამ აქ, განათლებაზე დახარჯული წილი მშპ–სთან მიმართებით 2,9% – ს შეადგენს.

საქართველოს კანონი ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ 23-ე მუხლის მიხედვით, დაწესებულება უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების მიწოდებას ბავშვებისთვის, მათი ფიზიკური, შემეცნებითი, სენსორული, სოციალური, ემოციური, ლინგვისტური, რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, გენდერული თუ სხვა მახასიათებლების მიუხედავად.

ამ კანონის მიხედვით მშობელს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის აღმზრდელ-პედაგოგებთან ერთად, რომ პროგრამაში ჩართული ბავშვის განათლების გაგრძელება მოხდეს, თუ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე ჯერ არ იქნება მიზანშეწონილი მისი სკოლაში შესვლა.

2006 წელს მიღებულ კანონში, სახელმწიფომ აღიარა შშმ პირთა უფლება – მიიღონ განათლება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სხვა მოსწავლეებთან ერთად. უკვე 2012 წლიდან, ინკლუზიური განათლების პროგრამა ყველა სკოლისთვის სავალდებულო გახდა, ეს იმას ნიშნავს, რომ არცერთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას არ აქვს უფლება, უარი თქვას სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის სკოლაში მიღებაზე.

საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებს, შეთანხმებებსა და სხვა ნორმატიულ აქტებს.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კანონი გამორიცხავს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაციას და აღიარებს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლებას.

მე-7 მუხლის მიხედვით, პროფესიული განათლების მიღების უფლება აქვთ იმ პირებს, ვისაც ზოგადი განათლების საბაზო საფეხური აქვთ გავლილი. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა შესაბამისი დარგის დამსაქმებლის მონაწილეობით გამართონ კონსულტაციები პროფესიული

განათლებით დაინტერესებულ პირებთან პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ.

ამ კანონის მესამე (3) მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია იზრუნოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტთათვის სწავლის პირობების შექმნაზე.

სტუდენტის უფლებების 43–ე მუხლის, მესამე ქვეპუნქტის თანახმად – ,,უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დააწესოს შეღავათები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის რათა შეიქმნას სრულფასოვანი განათლებისთვის აუცილებელი პირობები, რაც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით“. [საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ]

ამგვარად, საქართველო ჯერ კიდევ განვითარების გზას ადგას. მხოლოდ ის, რომ ინკლუზიური განათლებისთვის რამდენიმე რეფორმა გატარდა, ეს წინ ვერ წაგვწევს. საჭიროა მუდმივი კვლევა და სხვადასხვა პრობლემის აღმოფხვრა. ეს მხოლოდ საჯარო სკოლების სისტემურ სტრატეგიას არ ეხება, არამედ პედაგოგთა მზადებას სხვადასხვა ტიპის მოსწავლესთან ურთიერთობისთვის. ხშირია სკოლებში მსგავსი პრობლემები, როდესაც მასწავლებელმა არ იცის, როგორ მიუდგეს ბავშვს და შეუქმნას კომფორტული გარემო.

თავი II. საჯარო სკოლის მიმოხილვა ისტორიულ რაკურსში

2.1 საგანმანათლებლო დაწესებულებების ისტორიული მიმოხილვა ძველი ბერძნულ-რომაულ ეპოქაში

,,ყველა პროფესია ადამიანისაგან მოდის,
მხოლოდ სამი მოდის ღმერთისაგან:
მასწავლებელი, იურისტი და ექიმი''
ჰიპოკრატე

სწავლა სიბერემდე - ამ სიტყვების ინტერპრეტაცია ყველა ეროვნებისა თუ რჯულის ადამიანმა სწორად გაიგო და დღემდე აქტიური მნიშვნელობის მატარებელია ცოდნა - როგორც აზროვნებისა და განვითარების ერთ-ერთი მთავარი ღერძი. და მაინც რა არის განათლება? – ,,ეს გახლავთ სისტემურ მოქმედებათა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისაკენ. განათლებაში იგულისხმება შედეგი. მისი მიღების ძირითადი გზაა სწავლება საგანმანათლებლო დაწესებულებებში'' - ვკითხულობთ ვიკიპედიაში.

ადამიანის ევოლუციასთან ერთად განათლების ფორმებიც იდგამდა ფეხს. განიცდიდა რა ასიმილაციას ჩვენს შესაძლებლობებთან, ადგენდა ახალ გზებსა და საშუალებებს - არ აქვს არსებითი მნიშვნელობა მარტივდებოდა თუ რთულდებოდა მისი შესწავლის გზები, არამედ, როგორი შედეგი მიიღებოდა სხვადასხვა მეთოდით. ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული ყველას აქვს გამოცდილი - ინფორმაციის ფლობით თრობა. დღეს, მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნულ საკითხზე მუშაობა, რათა დაინერგოს და ახალ მეთოდოლოგიას, რეფორმებს საფუძველი ჩაეყაროს. საინტერესო იქნება თუ მომავალ ცვლილები ნაკარნახევი იქნება ისეთი მაგალითით, როგორიცაა ძველი ბერძნულ-რომაული სკოლების ანალოგი.

,,განათლებულსა და გაუნათლებელ ადამიანს შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორის მკვდარსა და ცოცხალს შორის“ - ამბობდა არისტოტელე. როგორც ჩანს, ბერძნებს ეს დიდი ხნის გააზრებული ჰქონდათ, რადგან ისინი სწავლას ორ კატეგორიად განიხილავდნენ: პირველი - წვრთნა გონებისთვის და მეორე - წვრთნა სხეულისთვის. საინტერესო ცნებებად არის განზოგადებული თავად ცოდნაც.

ერმა, რომელმაც მსოფლიოს აჩუქა - სოკრატე, ელადა, პლატონი, არისტოტელე და სხვები, შექმნეს უნიკალური ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, ქორეოგრაფია და მუსიკა მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის აღზრდა - ეს არის დროში განსაზღვრული პროცესი, ხოლო სწავლას ჩვენ მთელი ცხოვრების მანძილზე ვახერხებთ. არ იფიქროთ, რომ ამ ცოდნის მიღებაში მაინცდამაინც სკოლაში სიარულს გულისხმობენ; ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც ასაკობრივ და ცნობისმოყვარეობის ზრდასთან ერთად ვიღებთ - ესეც ცოდნის არაფორმალური ათვისებაა.

ცნება ,,სკოლა“ ძველ საბერძნეთში იშვა და იქედან დამკვიდრდა. საწყისი ეტაპისთვის ის - ,,დასვენებას“, ,,დროსტარებას“ ნიშნავდა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ფილოსოფიის მოყვარულები თავისუფალ დროს მსჯელობაში ატარებდნენ. მათი ნაამბობით მოხიბლული მოზარდების რაოდენობა მოგვიანებით მოსწავლეებში გადაიზარდა და ,,სკოლა“ სასწავლო პროცესის გამომხატველ ცნებად გადაიქცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბერძნები აღზრდაში დებდნენ იმაზე მეტს ვიდრე განათლებაში. თუკი ,,ჯანსაღ სხეულში ჯანსაღი სულია'' ე.ი. ცოდნასაც ფასი ეძლევა. მდიდარ ბერძენთა ვაჟები სკოლაში სიარულს შვიდი წლის ასაკში იწყებდნენ. ისინი წერას, კითხვას, მათემატიკას, მუსიკას, პოეზიას, ათლეტიკასა და ცეკვას სწავლობდნენ. გოგონები ცოდნას დედისაგან იღებდნენ, თუმც არსებობდა გამონაკლისებიც. სკოლაში მონას დაჰყავდა, რომელსაც მათთვის მხოლოდ კარგი მანერები და ქცევის წესები უნდა ესწავლებინა. ეს არცთუ ისე უმნიშვნელო ადამიანი, იმაზე მეტს აკეთებდა მათთვის, ვიდრე წიგნები. ის პედაგოგად იწოდებოდა, რომელიც ოჯახის ნდობით სარგებლობდა და მოზარდს პატივისცემას, ყურადღებას, მოთმინებასა და შენდობას ასწავლიდა. არაერთხელ გვინახავს ბერძნულ-რომაული ისტორიული ფილმები, სადაც დიდგაროვანი მამები, მეფეები თავიაანთ შვილებს დაქირავებულ

მასწავლებელთან ერთად ღარიბულ უბანში აცხოვრებდა - იმ მიზნით, რომ ბავშვი შეგნებული და ალტრუისტი აღზრდილიყო.

ათენში სწავლა ეტაპობრივად ხორციელდებოდა. სახელმწიფო დადგენილებით, თითქმის ყველა ვაჟს უნდა სცოდნოდა წერა-კითხვა. ხოლო მათი უმეტესობა ამით არ კმაყოფილდებოდა - ეუფლებოდნენ ასევე მუსიკასა და გიმნასტიკას, რადგან ფიზიკური სიძლიერეც ერთგვარ პრიორიტეტად ითვლებოდა.

გიმნასტიკური პროგრამა განიმარტებოდა - ტერმინი პენტათლონის შინაარსით. ,,ეს იყო ხუთი სპორტის სახეობა: ხტომა, ჭიდაობა, სირბილი, დისკოსა და შუბის ტყორცნა. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აქ ცეკვაც ისწავლებოდა“ [გიბელი 1980: 12-25. საქმიანობაში პედაგოგიც ეხმარებოდა, თუმცა მისი დეფინიცია არც ისე მაღალ საფეხურს წარმოადგენდა. როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ უმეტეს მათგანს ხელფასსაც კი არ უხდიდნენ გაწეული სამსახურისთვის. ის იყო ადმიანი, რომელიც 12 წლამდე, სანამ მოზარდი სახელმწიფოს გადაეცემოდა აღზრდისთვის, თვალყურს ადევნებდა.

ქალთა განათლება - ვერ ვიტყვით, რომ მასაც ისეთივე ძირეული მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუმცაღა ისინიც ეუფლებოდნენ ხტომას, ჭიდაობას, იგივე დისკოსა და ჭოკით ხტომას. მაგრამ ისინი ბიჭებისგან მოშორებულ, განცალკევებულ ადგილას იზრდებოდნენ. იქ სადაც გაცილებით სიმშვიდე და მყუდრო გარემო იყო. ქალისათვის მნიშვნელოვან როლს თამაშობდა განათლება მიუხედავად იმისა, რომ მათ ხელოვნებასა და ლიტერატურას არ ასწავლიდნენ. ცოდნის მქონე გოგონა გაცილებით უფრო სასურველი სარძლო იყო. როგორც ვხედავთ, გარკვეული პარალელები შეიძლება დღევანდელობასთანაც აქტიურად გავავლოთ.

როგორც პლუტარქოსი მოგვითხრობს, ლიკურგუსს საკუთარი მოსაზრებაც კი გააჩნდა ქალთა განათლებაზე. ის ფიქრობდა, რომ საბერძნეთში გენდერული თანასწორობა დაცული უნდა ყოფილიყო და მდედრობითი სქესის წარმომადგენლებსაც ზუსტად ისევე უნდა მიეღოთ წვრთნა, როგორც მამაკაცებს. თუმცა ის იმასაც აღიარებდა – რომ სუსტი სქესის მთავარი მოვალეობა ეს დედობა იყო.

სახელმწიფოს როლი ძველ ბერძნულ განათლებაში საკმაოდ დიდი იყო. ისინი ბავშვზე დაბადებიდანვე ზრუნავდნენ. ბავშვებს, რომლებიც კაუობითა და გამძლეობით გამოირჩეოდნენ, ოჯახებში აბრუნებდნენ, ხოლო ნაკლის მქონეებს საზოგადოებისგან მოშორებულ ადგილას ტოვებდნენ. არ ვიცით ასე რატომ ექცეოდნენ, თუმცა მიზანი ერთი იყო - მათ ,,სრულყოფილების" თვითშეფასება არ უნდა შეესუსტებინათ.

ისინი 12 წლიდან აქტიურად სწავლობდნენ ანბანს, ხმოვნებსა და მარტივ არითმეტიკას. წყაროებიდან ცნობილი ხდება, რომ თხზულებებსს და პოემებს ისინი ზეპირადაც კი სწავლობდნენ პედაგოგების მეშვეობით, რადგან საკმარისი რაოდენობით წიგნები არ იშოვებოდა.

,,ბერძნებს ასევე გააჩნდათ პროფესიული სასწავლებლები". [კოული 1931: 81-102] აღნიშნულ დაწესებულებებში ისინი სხვადასხვა ხელობას სწავლობდნენ. მაგალითად: ხუროთმოძღვრება, ხლოსნობა, ქვაზე კვეთა, დურგლობა და ა.შ. ძველი ბერძნები თვლიდნენ, რომ ვაჭრობა და ხელოსნობა ძირითადად დაბალი ფენისთვის იყო განკუთვნილი და მას დიდად არ აფასებდნენ. მიიჩნევდნენ, რომ მსგავსი საქმიანობა ადამიანის ფიზიკურ და გონებრივ განუვითარებლობას იწვევდა. თუმცა ბევრი შეგვიძლია მოვძებნოთ მათსავე ისტორიაში, რომელიც ვაჭრის ან სხვა ხელოსანთა შვილები იყვნენ, მაგრამ მაინც მაღალი საზოგადოების კლასს განეკუთვნებოდნენ.

რომაული სკოლები. სანამ საბერძნეთში გიმნაზიები, სკოლები და აკადემიები შენდებოდა, მაშინ რომში სამხედრო ხელოვნება ყვაოდა. ისტორიის საწყისებს რომ გადავხედოთ, სწავლა-განათლებას რომაულ წყაროებში ვერ ვიპოვით. შეიძლება არსებობს არგუმენტები მისი არსებობის შესახებ, თუმცა პირველი ხუთი საუკუნის მანძილზე ისინი გადამწყვეტ მნიშვნელობას მხოლოდ სამხედრო განათლებას ანიჭებდნენ. ეს ფაქტი გასაკვირი არ უნდა იყოს, რადგან მუდმივ ომებსა და დაპირისპირებებში ბრძოლა გადარჩენისთვის უწევდათ. მშვიდობის პერიოდი კი სასოფლო მრეწველობას ეთმობოდა.

მიუხედავად ამისა, მაინც გამონახეს დრო წიგნიერებისთვის. *,,წიგნებთან ურთიერთობა სიყმაწვილეს კვებავს, სიბერეს ამხიარულებს, ბედნიერებას ამშვენებს, უბედურებაში თავშესაფარს და სიმშვიდეს იძლევა"* - ციცერონს ალბათ არც კი ეგონა,

თუ ვინმე 21-ე საუკუნეში ამ სიტყვებს არგუმენტად გამოიყენებდა. მართლია, რომაელებმა ამის გააზრება გვიან, მაგრამ მაინც მოახერხეს. ბერძნებისგან განსხვავებით სკოლების სიმრავლით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ ცოდნის მიღებას ოჯახის ინტიტუტით ახერხებდნენ.

მოგვიანებით, ძვ. წ. ა 272 წელს ,,სამხედრო განათლება ლიტერატურამა და სხვა სამეცნიერო მასალებმა ჩაანაცვლა". [გუინი 1926: 34_46]

წყაროებს თუ დავუჯერებთ, რომში პირველი სკოლა ძვ. წ III საუკუნეში გაიხსნა. ასეთი ღვაწლი კი წილად ხვდა, ვის თუ არა განთავისუფლებულ მონას - სპურიუს კარვილიუსს. თუმცა, რა საეჭვოც არ უნდა იყოს, არსებობს მოსაზრება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება გაცილებით უფრო ადრე შეიქმნა. ლეგენდის თანახმად რომულუსმა და რემუსმა გაბიუმის სკოლაში მიიღეს განათლება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს მხოლოდ ლეგენდის ნაწილია და ინფორმაცია გადაუმოწმებელია.

რომაული სკოლების სასწავლო პროგრამები სპეციფიკით განსხვავდებოდა ბერძნული სკოლებისგან. ადამიანები, რომელთაც საჭირო რაოდენობის თანხა არ გააჩნდათ მხოლოდ დაწყებითი კლასებში მიღებული განათლებით კმაყოფილდებოდნენ. მათ შემდეგ საფეხურს კი - სამუშაო წარმოადგენდა. ეს კი ადრეულ ასაკში ქორწინებას განაპირობებდა. პრივილეგირებული ბაშვები კი სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში აგრძელებდნენ ცოდნის მიღებას.

თავდაპირველად განათლების მიღების პროცესში ნაკლებად ერეოდა **სახელმწიფო**. საინტერესო იყო ვაჟებისთვის განათლების მიღების პირველი საფეხურები. თავდაპირველად მათზე ზრუნვას დედა ითავსებდა. ის მას გაკვეთილებს უტარებდა და სულიერ აღზრდაში მონაწილეობდა, ათამაშებდა სხვადასხვა სახის გონებრივ თუ ფიზიკურ თამაშებს, რაც ერთგვარ მოთელვას წარმოადგენდა, რათა მზარდი სკოლისთვის მომზადებულიყო. ვფიქრობ, რომ მსგავსი ტიპის აღმზრდელობითი გამოცდილება ბავშვის ფსიქიკაზე დადებითად იმოქმედებდა. ჩვენს რეალობაშიც, დედა არის ის პირველი საფეხური, ვისგანაც ბავშვი სწავლობს ბევრ ღირებულ უნარ–ჩვევას.

როდესაც ვაჟი ცოტათი წამოიზრდებოდა, აღმზრდელობითი ბერკეტები მამაზე გადადიოდა, როგორც ოჯახის მთავარზე. ის იყო მისთვის მასწავლებელიც და მშობელიც. ასწავლიდა წერასა და კითხვას, ფერმაში მუშაობისთვის საჭირო საკითხებს, სირბილს, ცურვას, ომის ხელოვნების ძირითად პრინციპებს. მოწიფულობის ასაკში კი თავად წყვეტდა უნდოდა თუ არა სწავლის გაგრძელება, რადგან წიგნიერება ვალდებულებას არ წარმოადგენდა.

შედარებით პატარა ასაკში ვაჟები ეუფლებოდნენ ლეგენდებსა და მითებს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ თხზულებებს ლექსის ფორმა ჰქონდათ და ამიტომ, მათი სწავლა ზეპირსიტყვიერად უწევდათ. მოგვიანებით კი ისინი საჯაროდ კითხულობდნენ.

ანტიკური რომის სკოლებში მასწავლებლები ან ბერძნული ან რომაული წარმოშობისანი იყვნენ. ,,ისინი ბავშვი გონებას მრავალფუნქციურად ავარჯიშებდნენ. ბერძნები დიდი ყურადღებას არ უთმობნდნენ ლინგვისტურ მხარე, რითიც გამოირჩეოდა რომაული სკოლა. ხშირად იყო, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ასწავლიდნენ ბერძნულს, როგორც დამატებით ენას.“ [როლინგერი 1990, 56]

როგორც წყაროები გვამცნობენ, რომაელებისთვის მნიშვნელოვანი იყო გრამატიკა. ჭკვიან და გამორჩეულ მოზარდებს ასწავლიდნენ პოემებისა და ლექსების შეთხზვას. ამის კარგ მაგალითს წარმოადგენს ციცერონი, რომელმაც არატუსის პოემები თარგმნა და ლექსი ლათინური ჰექსამეტრით გამართა ლექსი. [სადისერტაციო ნაშრომი – ,,განათლება ანტიკურ საბერძნეთსა და რომში“, ვერა წერეთელი, გვ 20]

აღნიშნული სკოლის გავლის შემდეგ, ვაჟებს შეეძლოთ რიტორიკის სკოლაში გაეგრძელებინათ სწავლა. სადაც ორატორობისა და მოდერატორობის თვისებებს სწავლობდნენ. მაგალითად, როგორ უნდა გამოეთქვათ სხვადასხვა საკითზე აზრი, როგორი ინტონაციითა და ხმის ტემბრით. ასწავლიდნენ მრავალფეროვანი დიალოგების სპეციფიკასა და დახვეწილ მანერებს. ,,რომაელებს სჯეროდათ, რომ უფრო უკეთ ამ საქმიანობას, მათ შორის ფილოსოფიასაც ძირეულად შეისწავლიდნენ თავად საბერძნეთში, ამიტომ ხშირი იყო ამ მიზნით მათი მოგზაურობა“. [დომინიკი 1997, 112]

ქალთა განათლება რომში – როგორც ზევით აღვნიშნეთ, ქალები სწავლა–განათლების მიღებაში ნაკლებად იყვნენ ჩართულები. მათ ძირითად მოვალეობად ითვლებოდა საოჯახო საქმე. ისინი ეუფლებოდნენ კერვას, ქარგვას, კულინარიას, ისეთ საქმეს რაც მათ ქორწინების შემდეგ გამოადგებოდათ. ერთი სიტყვით, რომ ვთქვათ ამზადებდნენ სასიძოს ოჯახისთვის. მათ ე.წ. განათლებაში შედიოდა მუსიკაც. მხოლოდ მაღალი ფენის წარმომადგენლები ქირაობნდენ ბერძენ მონებს თავიანთი ქალიშვილებისთვის, რომლებიც ენას, წერასა და კითხვას ასწავლიდნენ.

რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, ქალის კულტი როგორც ბერძნულ ისე რომაულ ეპოქაში, დაკნინებულია და აღიქმება, როგორც შთამომავლობის შემქმნელი, ხოლო მამაკაცი უმნიშვნელოვანესი ფიგურა.

საინტერესო ფაქტია ისიც, თუ როგორი საკლასო ოთახები ჰქონდათ ძველ რომში. როგორც ასეთი სკოლის შენობა გამოყოფილი არ იყო. ადგილს სადაც, როგორც წესი სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა – pergola (გადახურული შენობა) ეწოდებოდა. შენობას ცალი მხარე ღია ჰქონდა. პედაგოგის, ასისტენტისა და მასწავლებლის სკამები ერთმანეთისგან განსხვავდებოდა სიმაღლით – პირველს ეკამა ყველაზე მაღალი სკამი, მეორეს ადგილს ტაბურეტი წარმოადგენდა ხოლო ბავშვები გრძელ სკამებზე ისხდნენ, რასავ, ვფიქრობ, სიმბოლური დატვირთვაც უნდა ჰქონოდა. მოზარდებს მერხები არ გააჩნდათ ამიტომ ისინი მუხლებზე დადებულ დაფებზე წერდნენ. ინტერიერი ი მორთული იყო სხვადასხვა ცნობილი ადამიანების ბიუსტებითა და დაფებით. ასეა გადმოცემული რილნგერის 1989 წლის ნაშრომში, რომელიც რომაულ წიგნიერებაზე მოგვითხრობს.

რაც შეეხება პროფესიულ სასწავლებლებს რომში ისინი თითქმის არ არსებობდა. არ არსებობს არანაირი ცნობა, რომელიც მათ არსებობას დაადასტურებს. ამის ძირითად მიზეზს ის წარმოადგენდა, რომ მოზარდები პროფესიულ და არაფორმალურ განათლებას ოჯახებში იღებდნენ.

,,განათლება ადამიანს ღირსებას მატებს, როცა კი იწყებს იმის გააზრებას, რომ ის მონობისთვის დაბადებული არ არის'' (დენი დიდრო). სწორედ, რომ შესაფერისი პარალელია ანტიკური დროისთვის. რა გასაკვირია ისეთი ეპოქისთვის, როგორიცაა

ძველი ბერძნულ–რომაული, რომ წიგნიერებას, როგორც სულიერ საზრდოს, ისე უდგებოდნენ. ჩვენ მოსაზრებებს ბევრ რამეში არ ვეთანხმებით. მაგალითად: გოგონების დისკრედიტაციას ვგულისხმობ, მაგრამ მაინც საოცარია მათი მიდგომები და ღირებულებები, ოჯახის კულტი და თანამდევი ფასეულობები. მათი დამოკიდებულება და განვითარების გზები ცხადყოფენ, რომ განათლება ერთობ ძალაა, რომელსაც ადამიანი თავისი გონებით ეუფლება. ვისურვებდით, დღევანდელ საქართველოში მსგავსი მიდგომების დანერგვასა და განხორციელებას.

2.2 საგანამანათლებლო დაწესებულებების ისტორიული მიმოხილვა ძველი ქართული სკოლის ისტორიიდან

,,სწავლა, ცოდნა, მეცნიერება - ღონეა იმისთანა,
რომელსაც დღეს წინ ვეღარაფერი ვეღარ უდგება:
ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმაღლე“
ილია ჭავჭავაძე

ანტიკურ ბერძნულ-რომაულ სკოლებს არაფრით ჩამოუვარდება ძველი ქართული საგანმანათლებლო დაწესებულებების ფენომენი თავისი უნიკალურობით. საქართველოშიც, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა კუთხესა და კუნჭულში, სწავლა-განათლებას დიდი როლი ეკავა. ვის თუ არა ქართველებს, მუდამ გვიწევდა ომსა და ქარცეცხლში ტრიალი, მაგრამ სწავლაზე ხელი არასდროს აგვიღია. ასეთია ჩვენი ბუნება, ცნობისმოყვარეობა წიგნიერების სურვილს ერთბაშად ზრდის და ავითარებს.

ნაციას, რომელსაც ერის მამად ილია ჰყავდა, აკაკი, ვაჟა, როგორ შეიძლება არ ჰქონდეს ისტორიის ის ნაწილი განსაკუთრებული, რასაც ძველი ქართული სასკოლო პროგრამები და თავად განათლების სპეციფიკა წარმოადგენდა. მიუხედავად ისტორიული ფაქტების სიმწირისა, თავად რომაულ და ბერძნულ ჩანაწერებში ვხვდებით ჩვენი განათლების შესახებ არსებულ პროცესებს. თუმცა, უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოში აღმზრდელობით ხაზი ძირითადად სასულიერო ნაწილში უნდა ვეძებოთ.

V–VII საუკუნეებში, როდესაც ქრისტიანობის შემოსვლას ვახსენებთ, ავტომატურად ვგულისხმობთ ისეთი სკოლების და აღმზრდელობითი დაწესებულებების არსებობას, რომელთა ხაზიც სასულიერო ცოდნაზე გადიოდა. იმ ეპოქაში მთავარ სასწავლო პროგრამას რელიგია და მასთან თანამდევი მოვლენები წარმოადგენდა. ამიტომ მრავლად იყო ეკლესია-მონასტრი, სასულიერო აკადემია და გიმნაზია.

პირველი პერიოდის ქვეყნის კულტურული ცხოვრების სადავეები სასულიერო გარემოცვის ხელში იყო. სკოლები, სადაც უპირატესად მაღალი წრის ხალხის შვილები

სწავლობდნენ, იძლეოდა საეკლესიო განათლებას, რომელიც თავის მხრივ ბიბლიის, გალობებისა და მათი განმარტების ფილოსოფიას მისდევდა იქმნებოდა და ვრცელდებოდა წიგნები ქრისტიანული მოძღვრების შესახებ. მათ მიზანს რელიგიის გავრცელებდა და რწმენის გაღრმავება წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, როგორც ისტორიული ცნობებიდან ვიგებთ, მთავარ სასკოლო მასალას მსგავსი პოლიტიკის მატარებელი სახელმძღვანელოები წარმოადგენდა.

ფაზისის რიტორიკული სკოლის არსებობა ადასტურებს, რომ ქართველ ხალხი მიისწრაფოდა სწავლა-განათლების საფუძვლის დანერგვისკენ, რასაც მოგვიანებით იოანე ბატონიშვილისა და ვახტანგ მეექვსის რეფორმებიც ადასტურებენ. V საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, კორიუნის ცნობებში ვკითხულობთ შემდეგს: ,,მეფე ბაკურმა 'უბრძანა ერთს, ქართული ენის მცოდნე კაცს, ჯაღის, შეეკრიბა ბავშვები სხვადასხვა კუთხიდან, სადაც სხვადასხვა კილოკავზე ლაპარაკობდნენ, და ესწავლებინა მათთვის ერთი ენა, რომლითაც ქართველებმა ღვთის დიდება დაიწყეს". საეჭვო აღარ არის ის, რომ იმ დროს არსებული ქართული სკოლები იყო მარტივი და ასეთივე მარტივი სასწავლო პროგრამები გააჩნდათ. არ იყო საშუალო და დამამთავრებელი კლასები. ამას მოწმობს ისიც, რომ მაშინდელი სწავლულები წიგნიერებას საზღვარგარეთ განაგრძობდნენ.

ერთ–ერთ ინტერნეტ სააგენტოს გვერდზე (AMBEBI.GE) განთავსებულ სტატიაში, სადაც ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ქეთევან ჭკუასელი ქართული სასწავლო დაწესებულების არსებობაზე მოგვითხრობს, აღნიშნავს, რომ ანტიკურ საქართველოში გიმნასიონების არსებობა დასტურდება. მისი თქმით მოზარდები სწავლას 7 წლის ასაკში იწყებდნენ და რამდენიმე საფეხურსაც გადიოდნენ. კერძოდ: 7-დან დაახლოებით 12 წლამდე ბავშვები ეუფლებოდნენ წერასა და კითხვას, ასევე მარტივ არითმეტიკას. ამ ასაკშივე ეუფლებოდნენ მუსიკას, გალობასა და პოეზიას. ხელოვნების ძირითად საფუძვლებს ისინი ამ საფეხურზე გადიოდნენ. ცოტა მოზრდილ ასაკში, რომელიც 13 -დან 15 წლამდე განისაზღვრება - შეისწავლებოდა გიმნასტიკა და ფიზიკური ვარჯიშები, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა სპორტულ აქტივობებს ითვისებდნენ. 16-18 წელი - მათთვის ძირითადად ახალ საფეხურს

წარმოადგენდა. ამ ასაკში ისინი მსჯელობდნენ პოლიტიკასა და ფილოსოფიაზე, განიხილავდნენ სხვადასხვა ქვეყნებისა, თუ ერების ლიტერატურას. ასევე განაგრძობდნენ გიმნასტიკურ სწავლებას. უფრო სრულწლოვანებას მიღწეულები კი - ეფებიას სკოლას გადიოდნენ, რაც - სამხედრო წრთობას, სახელმწიფოსა და ქვეყნის წინაშე მათ ვალდებულებებს გულისხმობდა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ლოგიკურიცაა - მოზარდს პატრიოტიზმის გრძნობა გაუზარდო. პროცესი, რა თქმა უნდა, V-IX საუკუნეებს მოიცავს.

განვითარების შემდეგ საფეხურს წარმოადგენდა XI-XII საუკუნეები. როდესაც ქართველებმა ბიზანტიური სკოლების არსებობა და მიზნები აღმოაჩინეს. განვითარებულმა ეკონომიკურმა და კულტურულმა პირობებმა სწავლის სისტემის აღორძინებას ხელი შეუწყო. წინათაც არსებობდა სკოლები, თუმცა აღნიშნულმა პირობებმა მათ გამრავლებას ფართოდ გაუღო კარი. დაარსდა მრავალი დაბალი და საშუალო სასწავლებელი. დავით აღმაშენებელმა XII საუკუნეში ააშენა გელათის მონასტერი, რომელთანაც 1106 ჩამოყალიბდა უმაღლესი სასწავლებელი - გელათის აკადემია. ეს გახლდათ ფილოსოფიურ-საღვთისმეტყველოსასწავლებელი, რომელიც საქართველოს კულტურის ცენტრად გაიდაქცა - ,,სასწავლოდ ყოვლისა კეთილისა, მოძღვრად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრესს მისსა". [ქართული ლიტერატურა, VIII კლასის სახელმძღვანელო, 1946: 63] აქ ისწავლებოდა ღვთისმეტყველება და ისტორიას, მოსწავლეებისთვის ითარგმნებოდა შესანიშნავი ფილოსოფიური ნაწარმოებები - სიბრძნესა და მსოფლმხედველობაზე, სამეცნიერო ნაშრომები და ისტორიული თხზულებანი. პედაგოგები კი მაღალ დონეზე განსწავლულნი და არაერთ კულტურის მცოდნენი.

ასეთივე დაწესებულებები გაიხსნა იყალთოსა და გრემშიც. ისტრიულ წყაროებზე დაყრდნობით ვიგებთ, რომ აქ ვხვდებით პირველ პროფესიებს, როგორებიცაა - ლითონზე მუშაობა, კერამიკისა და ფაისურის წარმოება, ფარმაკოლოგია, ასევე მევენახეობა, როგორც ძირითადი დარგი და ღვინის ტექნოლოგია. იყალთოს აკადემიში სასწავლო მსაგნებად შეიძლება მივიჩნიოთ - ფილოსოფია, გეომეტრია,

საღვთო საგალობლები და წმინდა წერილები, გაგიკვირდებათ და ცალკე საგნად ისწავლებოდა ასტრონომია, რიტორიკა და სხვა.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს სახელმწიფო დიდ ყურადღებას აქცევდა. სწავლა-განათლების საქმეს სპეციალური პირი განაგებდა, რომელსაც მოძღვართ, მოძღვარი ეწოდებობდა. იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და სწავლის მაღალ დონეს უზრუნველჰყოფდა. ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის დროიდანვე მოზარდს ასწავლიდნენ უცხო ენებს. XI-XII საუკუნეში სკოლებში სასწავლო საგნების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა; ზოგადმა საერო განათლებამ მეტი ადგილი დაიჭირა. ამ ხანებში ქართულ სკოლებში ისწავლებოდა: დიალექტიკა, რიტორიკა, გრამატიკა, იურისპრუდენცია, სიღრმისეული არითმეტიკა და გეომეტრია. ცხადია სწავლა-განათლების ასეთი მაღალი დონე მაღალი კულტურისა და ფართო ჰორიზონტის მქონე ადამიანებს იძლეოდა. ,,საქართველოს საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში აღიზარდნენ ისეთი ფილოსოფიურად ღრმა მოაზროვნე პირები, როგორიც იყვნენ არსენ იყალთოელი, პეტრიწონელი, იოანე შავთელი, შოთა რუსთაველი.“ [ქართული ლიტერატურა, VIII კლასის სახელმძღვანელო, 1946: 62-66]

აღნიშნულმა ეპოქამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქართული საგანამანთლებლო სტრუქტურის შექმნასა და განვითარებაში. იგი ბევრ ისტორიულ ძეგლს აერთიანებდა, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთაც. სამწუხაროდ, ჩვენს ერს ბევრჯერ მოუხდა იმავე გზის გავლა, რადგან მტერი არ ისვენებდა, მუდამ ნადგურდებოდა ცენტრები და მონასტრები. თუმცა ,,რაც არ გკლავს, გაძლიერებს“ - ნათქვამია, რამდენჯერაც დავეცით, იმდენჯერვე ფენიქსივით ფერფლიდან აღმოვცენდით. ,,ვეფხისტყაოსნით“ დაიხურა ქართული საგანმანათლებლო ისტორიის მეორე პერიოდის ბრწყინვალე წიგნის ფურცლები.

მესამე პერიოდი არამც, თუ რთული არმედ შავი პეიოდი აღმოჩნდა საქართველოსა და ქართველებისთვის. XIII საუკუნის ოციანი წლებიდან იწყება განუწყვეტელი შემოტევები. ადვილი წარმოსადგენია, როგორი პირობები შეიქმნებოდა კულტურისათვის, სასწავლო სისტემისთვის. თემურ-ლენგის რვაჯერ შემოსევამ გადაწვა

და გაანადგურა ისტორიული ძეგლები, მონასტრები, აკადემიები, სასემინარო დაწესებულებები. ამის შედეგად საქართველო უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

საგანმანათლებლო აღმავლობის ხანა ძირითადად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელები საზოგადოებიდან იწყება. მაშინ, როდესაც ბუმბერაზმა მოღვაწეებმა - ილიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვებმა, გადაწყვიტეს 1879 წელს ქართულ განათლებაში გადატრიალება მოეხდინათ. [ვიკიპედია] ბატონყმობის შემდეგ პოპულარული იდეა გახლდათ - გლეხებისთვის წერა-კითვხის შესწავლისა და დედაენის გამოცემისა. სწორედ ამისმა წყურვილმა ჩაუსახა დამფუძნებელთა კრებას აეღორძინებინათ და კიდევ მიეცათ ქართველი ერისთვის განათლების მიღების შანსი.

მრავალჯერ დაცემულა და კიდევაც ებრძვიან საქართველოს. ოდითგანვე დიდი მსხვერპლის გაღება გვიწევდა საკუთარი იდენტობის დასაცავად და აქამდეც მოვსულვართ. ალბათ ყველა ვთანხმდებით, რომ ჩვენი სკოლების ისტორია პატარა არ არის, რომ სამ აბზაცში ჩავატიოთ, მაგრამ მოკლედ მაინც შევეცადე წარმომედგინა ის გზა, რაც ჩვენმა წინაპრებმა განვლეს. ვფიქრობ, რომ სისტემა, რომელიც იმ საუკუნეებში არსებობდა დიდმნიშნელოვნად განსხვავდება დღევანდელი რეალობისგან. წარსულში მოზარდის ყურადღება მიმართული იყო - პატრიოტიზზმე, სამშობლოს სიყვარულის, რწმენის გაღრმავებაზე. ისინი აქცენტს და მნიშნელობას მაღალ იდეოლოგიურ საკითხებს ანიჭებდნენ, რის შედეგიც დღეს ჩვენ ვართ. ახალგაზრდებს საშაუალება ჰქონდათ ზიარებულიყვნენ ბევრ კულტურულ და ფილოსოფიურ საკითხებს. დღეს, ჩვენს ქვეყანაში განათლების სისტემა ფერმერის მოუვლელ ბაღს ჰგავს, რომელსაც გასუფთავება ეზარება. ასეთი წარსულის მქონე ერს განათლების არსებული სისტემა არ უნდა აკმაყოფილებდეს!

2.3 განათლება, როგორც ეპოქის განმსაზღვრელი მახასიათებელი

„ცოდნა თან დასდევს მცოდნელსა, რაზომსაც დაეტარების

არს უხილავი საუნჯე, ხელი არ შაეკარების“.

საზოგადოება ხშირად იმეორებს, რომ ჩვენ ინფორმაციულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ვფიქრობ, ეს არის არ არის და ჩვენ უფრო შესაძლებლობების ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც მეტი განათლება მეტი პერსპექტივის მაჩვენებელია.

,,განთლება, ადამიანის სხეულსა და სულში ანვითარებს ყველა იმ სილამაზეს, რაც მას გააჩნია და იქამდე სრულყოფილს ხდის მას, სადამდეც შეუძლია'' , - წერდა პლატონი. დიდი ფილოსოფოსები, როგორებიც არიან: ვებერი, კანტი, პლატონი - განათლების საწყის ეტაპად - ბავშვის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას მიიჩნევდნენ. ისინი თვლიან, რომ მოზარდი სწავლობს ყველასგან და ყველაფრისგან მაშინ, როდესაც ჩვენ გვგონია მათ არაფერი ესმით.

ერები იქმნებოდა და ნადგურდებოდა; ომები იწყებოდა ხელოვნურად და ბუნებრივად, მოგვიანებით ისიც მთავრდებოდა. ეპოქის განმსაზღვრელი და ერთადერთი წერტილი, რაზეც სახელმწიფოები შენდებოდა ეს იყო - იდეოლოგია. მისი შექმნა კი გაუნათლებელ ადამიანს არ ძალუძს. ,,ცოდნა ძალაა" - ეს პირველყოფილმა ადამიანმა მანამდე იცოდა, ვიდრე მისი ავტორი ამ სიტყვებს პირველად წარმოთქვამდა.

და მაინც რა აქვს საერთო განათლებასა და ეპოქას? ერთი მეორეს არ გამორიცხავს და ამავე პრინციპით არ არსებობენ ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ყველაფერი ის რაც ახლა ჩვენს გარშემოა - ინჟინერია, არქიტექტურა, კიბერნეტიკა, ინტერნეტი - ყველაფერი ეს ცოდნისა და წიგნიერების შედეგია. ცოდნა ამბიციებს ზრდის - მათი გაზრდა კი განვითარების საწინდარია. განათლების მეშვეობით იქმნება მომავალი. ხვალინდელ თაობას დღევანდელი გამოცდილება და პრაქტიკა გადაეცემა და ამით ისინი ქმნიან ახალ ეპოქას, რომლებიც კიდევ სხვას დაუდებენ საფუძველს.

ემილი დიურკემის აზრით, განათლების მთავარ ფუნქციას დომინანტი კულტურის გადაცემა და შემდეგ მისი განვითარება წარმოადგენს. თუმცა სხვადასხვა საზოგადოებებში ღირებულებებისა და მიზნების განსხვავებულობის გამო, წიგნიერების მნიშვნელობაც შეიძლება შეიცვალოს. მაგალითად, რომაელებისთვის მთავარი სამხედრო სწავლება იყო, საქართველოს შუა საუკუნეებში - ქრისტიანული მოძღვრება,

დღეს კი სოციალიზაცია, კულტურა და ინფორმაცია წარმოადგენს. და როგორ უნდა მივხვდეთ, რომელია ის ძირეული რასაც განათლების ხაზი უნდა გაყვეს?! ამის გარკვევა რთულია. მიგვაჩნია, რომ ცოდნის მიღება ერებს გადარჩენაში ეხმარება.

ხშირად სწავლა-განათლება სკოლებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან ასოცირდება. ბავშვი, სწორედ ასეთ დაწესებულებებში დგამს პირველ ნაბიჯს საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის. სწავლობს ადამიანთა ქცევას და ამით იმკვიდრებს საკუთარ ადგილს. ასე ხდება ის იმ სოციუმის აქტიური წევრი, სადაც დაიბადა, ცხოვრობს და მოკვდება. ადაპტაციისთვის სკოლა ისეთ ინსტიტუციას წარმოადგენს - სადაც პიროვნება იძენს ღირებულებებს და ასევე სწავლობს სხვების პატივისცემასაც. ამით იგი გზას იკაფავს საკუთარი მიზნებისკენ, ცდილობს რა ისწავლოს მეტი, რათა გააკეთოს საკუთარი მაქსიმუმი. და ახლაც, თუნდაც ამ მომენტში, ჩვენ, როგორც ამ სოციალიზაციის პროცესში ჩართული ადამიანები, ვცხოვრობთ ერთმანეთის გვერდით და ეპოქის განვითარებაში ამ ნაშრომით შეგვაქვს წვლილი. ვუზიარებთ და გვიზიარებენ გამოცდილებას და ძველზე დაყრდნობით ვსწავლობთ ახალს. აი ეს არის განათლება, როცა იმაზე მეტი ხარ, ვიდრე ატომებისა და მოლეკულების ერთობლიობა.

გასული საუკუნეების ეპოქის დაავადებად შეიძლება ჩაითვალოს - კლასიფიკაცია, რომლითაც ადამიანთა რანგობრიობა განისაზღვრებოდა. თუკი ადრე ამ დონეს ქონება წარმოადგენდა, დღეს ის განათლების მაღალმა მაჩვენებლებმა ჩაანაცვლა. ინფორმაციული საზოგადოება წინ წამოიწია და სხვა საფეხურზე მდგომი კლასობრივი მახასიათებელი უკან ჩამოიტოვა. სწორედ ამიტომ, სავარაუდოა, რომ განათლება სოციოლოგიის საწყისი სკოლა უნდა იყოს.

განათლება ადამიანებს ცხოვრების დონის ამაღლებაში ეხმარება. იმ ქვეყანებში, სადაც განათლებული სამუშაო ძალა არსებობს, ეკონომიკა იოლად ვითარდება. ,,აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ზრდასრული მოსახლეების, დაახლოებით, 30% წერა-კითხვის უცოდინარია.“ [შემეცნების სამყარო ნომერი 93, 2009 წელი, 257] პრობლემის აღმოფხვრა საგანმანათლებლო სისტემის გენერირებამ უნდა განაპირობოს. სწორად გატარებულმა რეფორმამ უნდა უზრუნველყოს პროცენტული მაჩვენებლის კლება,

ახალი თაობაზე მორგებული სიახლეები მოტივაციას მისცემს სწავლას მოწყურებულ ახალგაზრდებს მიიღონ ხარისხიანი განათლება და ჩამოყალიბდნენ საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით, განათლების სისტემას პოლიტიკოსები საკუთარი მიზნებისათვის იყენებდნენ. სასწავლო საგნები ხელისუფლების მრწამსს ასახავს. ახალგაზრდები პასუხისმგებელ მოქალაქეებად ყალიბდებიან და იზრდებიან. თითოეულ ქვეყანას საკუთარი ღირებულებები და ფასეულობები აქვს. მაგალითისთვის შეგვიძლია არაბეთი მოვიყვანოთ. ისინი სკოლებში დიდ ყურადღებას აქცევენ, მაჰმადიანთა წმინდა წიგნში, ყურანში ხაზგასმულ ქცევის წესებს, ხოლო ჩინეთში მასწავლებლები თანასწორობის კომუნისტურ პრინციპებს ქადაგებენ, თუმცა 1980-იანი წლების შემდეგ, მათ ყურადღება გაამახვილეს ნიჭიერ და ტალანტის მქონე სტუდენტებზე, რომლებიც ჩინეთის ეკონომიკის მოდერნიზაციასა და განვითარებაში წამყვანი როლისთვის ესაჭიროებათ.

ახალგაზრდები ქმნიან ზუსტად 21-ე საუკუნის ეპოქას, მართავენ და იმართებიან. ნაციონალური ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო გამოცდილება განსაკუთრებული კარიერისათვის მომზადებას გულისხმობს. ამას ესწრაფვის თითოეული ადამიანი, მათ შორის მეც, როგორც ამ სამყაროს წევრი. ამბიციები მართავენ ეპოქებს და ქმნიან ისტორიას. ეს, როგორც, წესი საშუალო სკოლაში იწყება და შემდეგ უკვე სპეციალიზებულ კოლეჯებსა და სხვა სასწავლო ცენტრებში გრძელდება. ზოგიერთმა ქვეყანამ ტრადიციული აკადემიური განათლების სისტემა შეინარჩუნა.

,,ძენონი იყო პირველი, ვინც გააცნობიერა რეალობის თეორიულად აღწერის, სინამდვილის ცოდნის ფორმით გადმოცემის სიძნელეები.“ [ვალერიან რამიშვილი - ფილოსოფია, 2010, 85]

ვფიქრობთ, რომ განათლების როლი ერების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში შეუფასებელია. რა არის ეპოქა?! ეს არის დრო, ჟამი - როდესაც ადამიანები განიცდიან ევოლუციას, ივიწყებენ ძველს და ახალს სწავლობენ. დღეს, საქართველოში ახალი ხანაა, რომელსაც ჩვენი შვილები და შვილიშვილები ისწავლიან, როგორც განვლილ

ეპოქას მათი წინაპრებისა. ახალგაზრდები განსაზღვრავენ ჯერ კიდევ არდაბადებული თაობის მომავალს. აი ეს არის წიგნიერებასა და ეპოქას შორის არსებული ის ბეწვის ხიდი, რაზეც ხალხი იზრდებოდა. ,,სწავლა, სწავლა და სწავლა". განათლება კაცობრიობის მდგრად ბერკეტს წარმოადგენს. ის ყველა იმ ატომურ ბომბსა თუ რაკეტაზე ძლიერია, რასაც აქამდე დედამიწის ზურგზე უარსებია. მცოდნე ერი გადარჩება, გაიკვლევს გზას და შექმნის ისტორიებს. „სიბრძნე არის სამუდამო, სიკვდილამდე შენთან არი", - წერდა არჩილ მეფე.

თავი III. თანამედროვე სკოლის სასწავლო პროცესის განვითარება

3.1 სკოლის განვითარება და სასწავლო პროცესის მართვა

ზემოთ თქმული ყველა ასპექტის გათვალისწინებით, სავარაუდოდ რთული არ უნდა იყოს იმის წარმოდგენა, თუ რაოდენ მნიშნელოვანია წიგნიერება ბავშვისთვის. მის მთავარ მოტივაციას სწავლების პროცესში წარმოადგენს - ახალ გარემოში ადაპტაცია და ინტეგრაცია. ამიტომ სისტემა, რომლითაც ბავშვი ცოდნას იძენს, საკმაოდ დიდ როლს თამაშობს მთელ რიგ პროცესებში.

სკოლის სისტემის განვითარება და სიახლის დანერგვა ჩვენი ქვეყნის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს, რამდენადაც გვაქვს ამბიცია ვიყოთ დემოკრატიული, განვითარებული და სწავლების ხარისხზე ორიენტირებული ქვეყანა. საქართველო, სადაც კერძო ,,რეპეტიტორების" სტრუქტურა უფრო განვითარებულია და თქვენ, წარმოიდგინეთ მუშაობს კიდეც, ვერ უზრუნველყოფს სიღრმისეულ განათლებას. მთავარი პრობლემა სასკოლო პროგრამასა და მათი განხორციელების მეთოდებშია.

მაშინ, როდესაც ბევრი მშობელი გაცილებით წიგნიერია მასწავლებელთან შედარებით, პრობლემის აქტუალურობა წინ მიიწევს.

უპირველესი და სიღრმისეული პრობლემა ქართულ სკოლებს თვითშეფასების არ არსებობაშია. სკოლა ვალდებულია რეგულარული მონიტორინგი ჩაატაროს, თუ როგორ ფუნქციონირებს სასწავლო დაწესებულება. შეაფასოს გაწეული სამუშაოები და დანერგოს ახალი პროგრამები. იგი მუდმივ განახლებაში უნდა იმყოფებოდეს. სკოლის განვითარებაზე, როდესაც ვსაუბრობთ ვგულისხმობთ არა მარტო – ინტერიერისა და ვიზუალის დახვეწასა და ინფრასტრუქტურის არსებობას, არამედ იმასაც თუ რა რეფორმები შეიძლება გატარდეს სხვადასხვა საფეხურზე ასასვლელად.

ვფიქრობთ, რომ მასწავლებელთა სერტიფიცირების პრობლემა ძალზედ საყურადღებოა. მის შემოღებას, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის 74,4% აუცილებლობად მიიჩნევს. „საქართველოს კანონი ზოგადი განათლების“ შესახებ ერთ-ერთ ძირითად მარეგულირებელ სუბსტანციას წარმოადგენს. ამავე კანონის 33-ე მუხლში - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულებები და უფლებამოსილებებში ვკითხულობთ:

1) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია:

ა) მოსწავლეებს მიეწოდოს თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი განათლება, რომელიც ეფუძნება ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, ჯანსაღი ცხოვრების, დემოკრატიისა და თანასწორობის პრინციპებს;

ბ) შექმნას სასწავლო პროცესის მიმდინარეობისთვის საჭირო ყველა პირობა;....

როგორც ვხედავთ, კანონი პირდაპირ ავალდებულებს საგანამანათლებლო დაწესებულებებს ბავშვებისთვის შექმნან ჯანსაღი გარემო, რაც ავტომატურად გულისხმობს კვალიფიკაციურ კადრს. მასწავლებელთა გადამზადებისა და სერტიფიცირების პროგრამები საქართველოში ცუდი რეპუტაციით სარგებლობენ. პედაგოგებისთვის მინიმალური ზღვარის გადალახვა საკმარისია მისი სტატუსის შესანარჩუნებლად, მაშინ, როდესაც პროფესიონალი მასწავლბელი ვალდებულია თავის სფეროში იყოს მოწოდების სიმაღლეზე.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში ჩავატარე მცირემასშტაბიანი კვლევა, რომელიც ორიენტირებული იყო სწავლის ხარისხისა და მასწავლებელთა სტრუქტურის მიმართ ზოგად დამოკიდებულებაზე. როგორც შედეგებმა გვიჩვენა, სკოლა კვლავ რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ საგანმანათლებლო დაწესებულებად და გამოკითხულთა 81%-მა კითხვაზე: ანიჭებთ თუ არა უპირატესობას საჯარო სკოლას, დადებითად უპასუხა. (იხილეთ დანართი – კვლევის სახით).

დიაგრამაზე სხვა მაჩვენებელმაც უნდა მიიქციოს თქვენი ყურადღება. 15,7% არ ანიჭებს უპირატესობას საჯარო საგანმანათლებლო სისტემას, რაც არსებული რეფორმების შედეგია.

ზემოთ აღნიშულ დებულებებში მკვეთრად იკვეთება მასწავლებელთა არაკვალიფიკაციურობა. მასწავლებელი ვალდებულია:

1. მისცეს მოსწავლეს ხარისხიანი განათლება;

2. იზრუნოს თითიეული მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე და მისი მოქალაქეობრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაზე;

3. ამასთანავე იზრუნოს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე;

4. დაიცვას მასწავლებლი პროფესიული ეთიკის კოდექსი;

5. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებიტა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებები;

6. ***საქართველოს კანონმდებლობითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით წარუდგინოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას ინფორმაცია საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.*** [საქართველოს კანონი განათლების შესახებ, თავი II, მუხლი 21, 7]

ჩვენს ქვეყანა, განათლების კუთხით, სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას. რეფორმათა ერთობლიობა ქაოსს ქმნის. არ ვითარდება ძველი, ახალი დანერგილი პროგრამებიც არ მუშაობს. პრობლემა კი იმაში მდგომარეობს, რომ რეგიონებში არსებულ დაწესებულებეში საკუთარი სტრუქტურული წყობის შინაარსიც კი არ ესმით საბაზისო დონეზე, რაც თავითავად აისახება ბავშვის მიღებულ ცოდნაზე. ჩვენს მიერ ჩატარებულმა კვლევამაც კიდევ ერთხელ დაგვიდასტურა, რომ კვალიფისიცური

კადრი მაღალმთიან რეგიონებშიც დიდი პრობლემას წარმოადგენს. (იხილეთ კვლევა) სკოლებში არ ტარდება ინტენსიური ღია კარის დღეები, მასწავლებლები სათანადოდ არ ხსნიან სასწავლო მასალას, სამეურვეო საბჭო ანალოგიურად არ უწევს კურირებას მათ საქმიანობას. ამ განუკითხაობას კი დღეის მდგომარეობამდე მოვყავართ.

განათლები კანონის მიხედვით მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდა ითვალისწინებს ორ პროცედურას: 1.შინაარსობრივ ნაწილს – რომელიც ამოწმებს მასწავლებლის საბაზისო დონეს იმ საგნის შესახებ, რომელსაც ის ასწავლის. ხოლო 2 საფეხურს წარმოადგენს – უნარების ნაწილი – კომელიც ფოკუსირებულია პედაგოგის ანალიზის უნარტან დაგეგმოს და სტრატეგიულად განახორციელოს მოსწავლის ჩართვა სასწავლო პროცესში. აღნიშნული ორი დებულება პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნულ პროფესიასთან კავშირშია. წესით და კანონით არცერთი მასწავლებელი არ უნდა იყოს იმაზე ორიენტირებული – როგორმე გადალახოს ზღვარი, არამედ იმაზე, რომ რაც შეიძლება სრულყოფილი ქულათა ჯამი დააგროვოს.

2016 წელს ჩატრებულ სასერტიფიკაციო გამოცდაზე დარეგისტრდა 10 552 პრაქტიკოსი პედაგოგი. მათგან 6 477 გაიარა ტესტირება, რომელთაგანაც მინიმალური ზღვრის გადალახვა – 60%_ი, მხოლოდ 1 101 პედაგოგმა შეძლო. ანუ საერთო რაოდენობის დაახლოებით 17%_მა. [ინტერნეტ სააგენტო – სამხრეთის კარიბჭე, სტატია, 2016]

ჩატარებული გამოცდიდან, ყველაზე ცუდი შედეგი დაწყებითი კლასის მასწავლებლებს ჰქონდათ. ტესტირებაში მონაწილეობა მიიღო1 167_მა პედაგოგმა, რომელთაგანაც მხოლოდ 94_ს ერგო კომპეტენციის აღიარების საბუთი, რაც მთლიან მონაწილეთა 8% შეადგენს.

ალბათ კარგად ვიაზრებთ, რამხელა დეფიციტია კვალიფიკაციური პედაგოგის ბაზარზე მოძიება. საქსტატის მონაცემებით, წინა წლებთან შედარებით 2019 წლის ანგარიშში მასწალებელთა რაოდენობა გაზრდილია. (დიაგრამა 1.3)



დიაგრამა 1.3

სწორედ ეს იგულისხმება სკოლის განვითარებაში, რამ უნდა წასწიოს წინ სასწავლო პროცესი თუ არა პროფესიონალმა და მცოდნე კადრმა. როგორც აღმოჩნდა, საქართველოში პედაგოგად გახდომა იმაზე მარტივია ვიდრე ჩვენ გვგონია. საკმარისი მინიმალური ზღვრის გადალახვა და გაქვს უფლება ბავშვს ისე ასწავლო, როგორც შეგიძლია. ეს არის ჩვენი პირველი შეცდომა – თვალდახუჭული ვენდოთ გამოცდების შედეგებს. სანამ სახელმწიფო სტრუქტურა პედაგოგის დანიშნულებასა და ბავშვის აღზრდაში მის როლს ძირფესვიანად არ გაიაზრებს, მანამდე ასეთი სისტემის ქვეშ მოუწევს მომავალ თაობას განათლების მიღება.

სხვა დილემის წინაშე გვაყენებს სასწავლო პროცესი. პედაგოგიკის შემდეგ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს სასწავლო პროცესი. როგორც კვლევებმა გვიჩვენა 60,3%–ს მიაჩნია, რომ მაღალმთიანეთის მაგალითზე, *თანამედროვე საჯარო სკოლისათვის უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს მხრიდან პრიორიტეტული რეფორმების გატარება, მოსახლეობისა და შესაბამისად, მოსწავლეთა კონტიგენტის გაზრდის მიზნით.*

2014 წლის 28 მარტს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინსტრის N39/5 ბრძანების, IV თავის, მე_7_ე მუხლში განხილულია სასწავლო პროცესისი დაგეგმვის ზოგადი დებულებანი. აღნიშნულის მიხედვით მასწავლებელი ვალდებულია შეიმუშაოს თემატური სასწავლო გეგმა ეროვნული გეგმით გათვალისწინებულ საგნებზე; ამავდროულად დაგეგმოს გაკვეთილის ყველა კომპონენტი; მხედველობაში

იღებს ყველა იმ საჭირო რეკომენდაციებს, რომლებიც ბავშვებს დაეხმარებათ ადაპტაციაში და გეგმავს კლასგარეშე საქმიანობას, რომელიც უშუალოდ მიმართულია მოსწავლის მოტივაციისა და განვითარებისათვის.

სასწავლო პროცესი სკოლაში მდორედ და უინტერესოდ მიმდინარეობს. ბავშვებს სჭირდებათ ენერგია და სიახლე. როდესაც მოზარდს ერთდროულად მათემატიკის 2 გაკვეთილი უტარდება, მისი ტვინი გარკვეული დროის შემდეგ წყვეტს ფუნქციონირებას და არაპროდუქტიული ხდება. ამ დროს პედაგოგმა უნდა უზრუნველყოს მათი მოტივაციის ამაღლება სხვადასხვა გამახალისებელი ენერჯაიზერებიტ, წამახალისებელი ამაშებით. რა თქმა უნდა აქ 2–3 წუთიანი გასართობი აქტივობა იგულისხმება.

პედაგოგირური საბჭო, რომელიც დირექტორთან ერთად ადგენს და ახორციელებს სასწავლო ეროვნულ გეგმას, ვალდებულია ასევე წაახალისოს სასწავლო პროცესი სხვადასხვა კრეატიული ქმედებებით. გარდა ამისა, საჭიროა ხორციელდებოდეს შეფასებისა და მონიტორინგის პროცესი. რაც გულისხმობს, რომ პედაგოგმა სამეურვეო საბჭოსთან ერთად უნდა გაანალიზოს მოსწავლეთა სუსტი და ძლიერი მხარეები; წარმოადგინოს არსებული მეთოდოლოგიის ხარისხიანოის დონე და ამ მხრივ მოზარდთა ჩართლო. იმ შემთხვევაში, თუ მათუი აქტიურობა ძალიან სუსტია, ინსტიტუცია ვალდებულია დანერგოს და იმსჯელოს ახალ რეფორმებზე. აღნიშნული ღონისძიება იპოვის და აღმოფხვრის სასწავლო პროვცეცის ნეგატიურ კონტექსტს.

სკოლის დირექტორის ფენომენი მშობლებისთვი და მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის იმაზე მეტი მნიშვნელობის მატარებელია ვიდრე თავად სასწავლო პროცესია. კვლევის მიხედვით გამოკითხულთა 85.1% თვლის, რომ მისი ვალდებულებებია მენეჯერული უნარ-ჩვევების არსებობა, გადაწყვეტილების მიღების დროს ოპერატიულობა, იყოს გამოცდილი და შეეძლოს ეფექტური მართვა, კონტიგენტთან კომუნიკაციის დამყარება. (იხილეთ დანართი – კვლევის სახით) როგორც აღმოჩნდა, მას როგორც დაწესებულების მმართველს საკმაოდ მნიშნელოვანი პასუხისმგებლობები გააჩნია. დღეს მათ მუეტესობა ამას ვერ ახერხებს, რადგან ხშირია

სკოლაში ბავშვის უფლებების დაუცველობა განათლების ხარისხის კუთხით. ეს სწორედ იმ გამოუცდელი კადრის ბრალია, რომელიც საქართველოს ბაზარზე არსებობს.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ფუნქციებია:

1. ეროვნული სასწავლო გეგმის მომზადება, პილოტირება და დანერგვის ხელშეწყობა;

2. საჯარო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესის ეროვნული შეფასებების სისტემის შემუშავება, დანერგვა, ეროვნული და სხვა შეფასებების განხორციელება;

3. სახელმძღვანელოების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან შესაბამისობის დადგენა და სახელმძღვანელოს გრიფის მინიჭება;

4. საქართველოს კანონმდებლობით მათ შორის, ამ კანონით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება. [საქართველოს ზოგადი განათლების კანონი, მუხლი 28]

კანონი პირდაპირ და მკაფიოდ ავალდებულებს სკოლებსა და იქ არსებულ სტრუქტურას განახორციელოს და სისრულეში მოიყვანოს სამართლებრივი ნორმები. რასაც სამწუხაროდ შედეგი არ აქვს. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინსტანციაში არსებული რეფორმები არ ხორციელდება ან არ უნდათ, რომ განახორციელონ, ეს კი საბოლოო ჯამში აისახება მოსწავლის წიგნიერების ხარისხზე.

ვფიქრობ, რომ აღნიშნული პრობლემები საყურადღებოა და დიდ ცვლილებებს საჭიროებს. კანონის ზოგად დებულებაში ვკითხულობთ: ,,ეს კანონი აწესრიგებს საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებს, ზოგადი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენს ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად) სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს, აგრეთვე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელთა საქმიანობის წარმართვის პირობებსა და წესს“.

მართალია დებულება ზოგადია, თუმცა ნათლად ჩანს ყველა მხარის უფლება-მოვალეობები. საქართველოში არსებული სკოლების 90% არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებებს. ან საქმეს გულგრილად ეკიდება, ან საერთოდ არ აღიარებს სამუშაო პასუხისმგებლობას.

მიმაჩნია, რომ პრობლემების მოგვარება სახელმწიფოდან უნდა დავიწყოთ. ის ახალი თაობის მიმართ ვალდებულია შეუქმნას ჯანსაღი გარემო. საჭიროა ყველა სკოლამ სიღრმისეულად წარმოადგინოს წლიური ანგარიში. ჩემი გადმოსახედიდან, კარგი იქნება თუ სკოლას ეყოლება თითო **მარეგულირებელი კომისიის წევრი** მთელი წლის განმავლობაში, რომელიც თვალყურს ადევნებს განვითარებულ მოვლენებს. იმუშავებს მასწავლებლებთან ერთად აღმოჩენილი პრობლემის გასანეიტრალებლად.

აქტივობები უნდა დაიგეგმოს ხშირ და საერთაშორისო დონეზე. მაგალითად სკოლას შეუძლია წელიწადში ერთხელ წარჩინებული მოსწავლეები დაასაჩუქროს ერთკვირიანი გაცვლითი პროგრამით საზღვარგარეთ, რათა მოსწავლეებს მოტივაცია აუმაღლონ, დაანახონ თუ როგორ ისწავლება ესა თუ ის საგანი ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ბავშვს შეუძლია მოახდინოს სწავლის ხარისხის დიფერეციაცია და წარმოადგიონოს პრეზენტაცია აღნიშნულ საკითხზე. ეს პრაქტიკა შეგვიძლია მასწავლებლების კუთხითაც განვიხილოთ. ოღონდ ამ შემთხვევაში ვალდებულება სახელმწიფომ უნდ აიღოს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სურათი, ჩვენს დღევანდელ ქვეყანაში შემდეგნაირია: სახელმწიფო ვერ ნერგავს, ან დანერგილს ვერ ახორციელებს. არ გვაქვს ნაყოფიერი სასწავლო გეგმა, რაც უხარისხო განათლების ტოლფასია. საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით დიდი ხანი მოგვიწევს ვიწრო ბილიკზე სიარული, რათა მივაღწიოთ ისეთ დონეს, სადაც რეპეტიტორების ინსტიტუტი აღარ იქნება საჭირო და მოსწავლე სკოლაში მიღებული ცოდნით წარსდგება ეროვნულ გამოცდებზე. სანამ რეფორმები მასწავლებლებზეა მორგებული და არა ბავშვებზე, მანამდე იარსებებს მსგავსი იერარქიული პრობლემები. საკუთარი ქვეყანა თავისივე ავტონომიაში მიღებულ განათლებას არ აღიარებს, როგორც საფუძვლიანს. სწორედ ამიტომ სახელმწიფო ვალდებულია გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობები, მოერგოს მომავალ თაობას და შეუქმნას მათ ნათელი მომავლიკენ სავალი გზა.

3.2 მშობელთან და საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც თანამედროვე სკოლის უმთავრესი გამოწვევა

სამყაროს შექმნის ისტორია - ურთიერთობის მნიშვნელობით იწყება. როდესაც, ღმერთმა დედამიწაზე ადამი მოავლინა ის მარტოსულად გრძნობდა თავს და უფალმა მას ევა აჩუქა. ადამიანები სოციალური არსებები ვართ. გვიყვარს, როდესაც საკუთარ წარმატებას, ჭირსა თუ ლხინს ვუზიარებთ სხვა დამიანებს. ამით ემოციებს გამოვხატავთ და ამავდროულად, ვსწავლობთ ახალს. სწორედ ასეა სკოლა - მშობელი - საზოგადოება. ეს ჯაჭური კავშირი, გვინდა თუ არ გვინდა, ბავშვისთვის ძლიერ ინსტრუმენტს წაროადგენს.

გადავხედოთ, რა დონეზე დგას ეს დილემა საქართველოში. ჩვენი ქვეყანა უნიკალურია სხვადასხვა ასპექტების საკუთარი მიდგომებით გაანალიზებაში. არც ამაში ჩამოვრჩენილვართ. **მასწავლებელ-მშობლის ურთიერთობა** სათავეს იღებს დაწყებითი კლასიდან და არსებული რეფორმით - 12 წელიწადს გრძელდება. არსებობს მშობელთა ორი კლასი - ერთნი, რომლებიც მეტ-ნაკლებად არიან ჩართულნი შვილის სასწავლო პროცესში და მეორენი, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ აქვთ რა ხდება მათი შვილების თავს. არ აინტერესებთ რეფორმები, რას სწავლობს მათი ბავში სკოლაში, ან რას ასწავლიან. და ვიცი ბრალია?! ეს ორმხრივი გულგრილობის ბრალია. ვერცერთი ვერ იაზრებს საკუთარ მოვალეობებს ბოლომდე. მასწავლებელს ავიწყდება, რომ მოსწავლე სკოლასთან ერთად ოჯახიდანაც არაფორმალურ განათლებას იღებს, ხოლო მშობელს ავიწყება, რომ სკოლა ყველანაირი განათლების მიღებას ვერ უზრუნველყოფს.

წინა თავებში განვიხილეთ ბერძნულ-რომაული სკოლების პრეისტორია. იქ ხაზგასმულია ოჯახის როლი ბავშვის აღზრდა-განვითარებაში. საქართველოში არსებული პრაქტიკით კი მშობლისა და პედაგოგის სკოლის ურთიერთბა მხოლოდ - წლის დასაწყისსა და ბოლოს ორგანიზებული ექსკურსიები, ან წელიწადში რამოდენიმეჯერ ჩატარებული მშობელთა კრება წარმოადგენს. ეს კატასტროფაა ევროპასა და აზიაში არსებული მაგალითების ფონზე. აზიურ ქვეყნებშიც კი პედაგოგისა თუ მშობლის ურთიერთობა სხვა საფეხურს წარმოადგენს.

მოზარდი სწავლობს სკოლაში, ოჯახში, თანატოლებთან. საგანმანათლებლო დაწესებულება მას კულტურისა და ყოფა-ქცევის საკითხებს თეორიული გზით შეასწავლის, ხოლო მშობელი ამას უფრო მენტალურ დონეზე ახორციელებს. ამიტომ ამ ორი ფენომენის კოლაბორაციის შედეგი საკმაოდ მნიშვნელოვანია.

მშობლისა და სკოლის დამოკიდებულება ერთმანეთთან მჭიდრო კავშრშია. ვფიქრობ, რომ ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს (თანამშრომლობის ჩემეული ვერსია):

1. ***საბაზისო თანამშრომლობა*** - რომელმაც უნდა მოიცვას პირველი კლასიდან მშობლის ჩართულობა სასწავლო პროცესში. აქ იგულისხმება ისეთი აქტივობების განხორციელებაში თანამონაწილეობა, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის, პირველ ეტაპზე, ახალ გარემოში ადაპტაციასა და თავის დამკვირდებას;

2. ***გარდამავალი ურთიერთობა*** - ეს საფეხური, მშობლის, როგორც მაკონტროლებელი ისტანციის, უფრო ძირეულ ჩარევას მოითხოვს სასწავლო პროცესში. საინტერესო იქნებოდა თუკი მათ პედაგოგები განუმარტავდნენ თითოეული საგნის მნიშვნელობასა და დანიშნულებას, რათა სასწავლო პროცესში მშობელმა ბავშვს სწორი მიმართულება მისცეს;

3. ***მჭიდრო კავშირი*** - აღნიშნული თანამშრომლობაა და სხვადასხვა აქტივობებში მშობლის ჩართვას გულისხმობს. როგორიცაა სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. მშობელთა თვითმმართველობის ჩამოყალიბება და იდეები ინიცირება, თუ რა სიახლის შემცველი რეფორმა შეიძლება გაატაროს სკოლამ ბავშვის მოტივაციის ასამაღლებლად.

ზოგადი განათლების შესახებ კანონში II თავი - მოსწავლის, მშობლისა და მასწავლებლის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს ეხება. განხილულია ყველა სახის შესაძლო თანამშრომლობის ვალდებულებები.

მუხლი 8. ძირითადი გარანტიები:

1. მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს, აგრეთვე მათ გაერთიანებებს უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე ისარგებლონ ამ თავით დაცული და სკოლის მიერ

აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით.

მუხლი ზოგადი ცნების მატარებელია, თუმცა კარგად არის გამოკვეთილი, რომ მონდომების შემთხვევაში მშობელს იმაზე მეტის უფლება აქვს სკოლაში ვიდრე დღეს ახორციელებენ. კანონით გათვალისწინებული პუნქტებით მშბელს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სკოლის მართვაში, დანერგოს ახალი იდეები, იზრუნოს საკუთარი შვილის ჯანსაღ გარემოზე. სკოლა კი თავის მხრივ ვალდებულია ხელი შეუწყოს მშობელთა კოლექტივის მიერ განხორციელებულ აქტივობებს.

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მშბელთა ჩართულო სასწავლო პროცესში მინიმალურ ზღვარს შეადგენს და ისიც უკანასკნელმომენტში მისული გადაწყვეტილებების დროს. როდესაც მეურვე მხოლოდ უკანასკნელ საფეხურზე ინტერესდება, თუ რა გარემოში იღებს განათლებას მისი შვილი - ეს მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულების პრობელას აღარ წარმოადგენს. სკოლის გარდა მშობელი ვალდებულია სწორად გაიაზროს საკუთარი ვალდებულებები და შესაძლებლობები. თუმცა არ უნდა გამოირიცხოს ის ფაქტიც, რომ შესაძლოა მშობელთა გარკვეულმა ნაწილმა არც იცის საკუთარი მოქმედების არეალი, იგულისხმება ის შესაძლებლობები რასაც კანონი მათ სთავაზობს.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე, შეიძლება ვივარაოდოთ, რომ მშობელთა აქტივების განხორციელება შეგვიძლია სოციალურ საქმიანობაში. გამოკითხულთა უმრავლესობა სწორედ ,,მშობელთა ჩართულობას“ ასახელებს სკოლის ნაკლოვანებად. (ქვემოთ იხილეთ კვლევა)

ვფიქრობ და მიმაჩნია, რომ უპირველესყოვლისა მშობლებს უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი. დაწყებით კლასშივე განემარტოთ თავიაანთი პასუხისმგებლობა და ის მოსალოდნელი სტრატეგიები, რომლის მართვა და განვითარებაც მოუწევთ. მოსთხოვო ადამიანს, ის რაც არც კი იცის, რომ შეეძლო უხერხულობის ეფექტს ქმნის სკოლას, როგორც საგანმანათლებლო სისტემასა და მშობელს, როგორც აინტერესებულ მხარეს შორის.

სხვა დილემა იკვეთება სკოლასა და საზოგადოებას შორის არსებულ ურთიერთობებში. ვინაიდან განათლება საზოგადოების განვითარებაში უმნიშნელოვანეს როლს ასრულებს, იგი პრიორიტეტულ პოლიტიკურ საკითხს წარმოადგენს. მისი განვითარება სახელწიფოს ნომერ პირველი კატეგორიის მიზანია. 1960_იან წლებში განვითარებული ქვეყნების უამრავმა პოლიტიკოსმა ელიტური განათლების დასრულებას მიანიჭა უპირატესობა და, ამის ნაცვლად საყოველთაო განათლების სისტემის შემოღება დაისახა მიზნად, რაც გულისხმობდა განათლების შესაძლებლობებს ყველასათვის. მათი პოლიტიკის ერთ-ერთი ნაწილი იყო ,,პოზიტიური დისკრიმინაცია" ღარიბი უბნების ბავშვთა სასარგებლოდ.[შემეცნების სამყარო 93, 258]

მაგალითი გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი დანიშნულების განმსაზღვრელი ქმედებები ოდითგანვე ხორციელდებოდება. დღესდღეობით სასკოლო სისტემის რეფორმატორი სახელმწიფოა. საზოგადოების როლი კი ამ საქმიანობაში პასიურია. დარგის სპეციალისტების აზრით სისრულეში მოყვანილი პროექტები მოკლევადიანია და შედეგებიც ანალოგიურად - დროებითი. ამიტომ ქვეყნის ინტერესები, რომლებიც საზოგადოებრივ ინიციატივას დაეფუძნება ჯერჯერობით არ გვაქვს. ამგვარ ნაბიჯებად შეიძლება მოვიაზროთ - არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, სხვადასხვა საერთაშორისო დონეზე აღიარებულ სკოლებთან ურთიერთობა, ასევე კავშირი უნივერსიტეტებსა და სკოლებს შორის. ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ინსტანცია მნიშვნელოვანი ფუნქციის მატარებელია.

კავშირი **უნივერსიტეტის სტუდენტსა და სკოლის მოსწავლეს** შორის ერთგვარად, მშობელი-შვილის დატვირთვას იძენს. საინტერესო იქნებოდა თუკი ბავშვებთან ერთად იმუშავებდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები, ჩაატარებდნენ კვლევებს და იმსჯელებდნენ სამომავლო გეგმებზე. ეს მოსწავლეში აღძრავს სტიმულს - იყოს მისნაირი, თავს გრძნობს პრიორიტეტულ ინსტიტუტად, რომელსაც მსგავს საქმეს ანდობენ და მის აზრს პატივს სცემენ. სწორედ ასეთ აქტივობებს მოიაზრებს საზოგადოებისა და სკოლის საქმიანობა.

ამგვარად სასკოლო დაწესებულებებმა სახელმწიფოსთან ერთად უნდა იმუშაოს ზემოთ ჩამოთვლილი დებულებების დანერგვასა და განვითარებაში. ეს ხომ ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალია. ,,ტყე შეუნახე შვილებსა, მამა ხარ შენი ვალია“ - დიდი იმედი მაქვს, რომ მომდევნო წლის განმავლობაში ამ სიტყვებს უფრო მეტი მშობელი, მასწავლებელი და სახელმწიფო მოხელე გაიაზრებს.

3.3 მართვის თეორია და კულტურასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი

მსოფლიო დღითიდღე ვითარდება. ივიწყებს ძველს, თუმცა ახალის შექმნას განვლილით ცდილობს. თაობები იბადებიან და კვდებიან, ცხოვრება კი მეტ შესაძლებლობებს გვაძლევს.

მსოფლიოში არსებული ყველა ქვეყანა, ქალაქი თუ სოფელი განვითარებას და წინსვლას ცდილობს. ფიქრობენ რა შეიძლება შექმნან ინოვაციური, წარმატების მომტანი. ყველა იმედს ამყარებს ადამიანებზე, რომლებიც კონკრეტულ დებულებებს მათზე მკაფიოდ და სიღრმისეულად იაზრებს. სოკრატეს, კანტის, არისტოტელეს და სხვა მრავალის, შთაგონებებით დღესაც ცხოვრობენ სახელმწიფოები.

განვითარებული ქვეყნების მთავარ ბერკეტს მართვის სადავეები წარმოადგენს. რაც უფრო კარგია მენეჯმენტი, მით უფრო მეტი შესაძლებლობების ზღვარზეა ადამიანი. სკოლის მართვის პრინციპიც სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნება. საჭიროა სწორი გზის მოძებნა და წარმატება გარანტირებულია.

ქცევითი მეცნიერებების წარმომადგენლები ხშირად მსჯელობენ **სწორი ადმინისტრაციული საკითხების გადანაწილებაზე**. მართვის პროცესში ბევრი ფაქტორი იკვეთება კერძოდ: ორგანიზაციული საკითხების არასათანადო გააზრება, მუშათა კლასის დაუფასებლობა, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების შეუფერებელი განაწილება.

ორგანიზაციული საკითხების არასათანადო გააზრება - ვფიქრობთ, ამ პუნქტში შეგვიძლია განვმარტოთ ჩვენი ტემის საგანი - სკოლის ორგანიზაციული საკითხები.

ადამიანთა ქცევა დამყარებულია მათ მოთხოვნილებებზე, ამიტომ წახალისება და მოტივაციის გაზრდა ერთ-ერთ ძირეულ კომპონენტს წარმოადგენს ეფექტური მართვისათვის. როგორ აღმოჩნდა ადამიანების საკუთარ მოვალეობას გაცილებით უფრო კარგად და ეფექტურად ასრულებენ თუ მათი უფროსები ლოიალურები არიან, იქნება ეს ურთიერთობა თუ სახელფასო განაკვეთი. მრავალი კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ მკაცრი ზემდგომი ვერ იქნება კარგი მენეჯერი. [საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, მენეჯმენტის საფუძვლები, 3.4 ადამიანური ურთიერთობათა სკოლა]

მუშათა კლასის დაუფასებლობა თითქოს ყველა ერის მახასიათებელი ფაქტორია. აქ ორგანიზაციის სტრუქტურასა და დასაქმებულთა რაოდენობას არ აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, ადამიანი, რომელიც სასტუმროში მუშაობს დამლაგებლად და დღეში 13 საათი მუშაობს, არ უნდა მისცე შენიშვნა იმაზე, რომ საქმეს გუგლგრილად უდგება და მტვერსასრუტს 30 წუთის მაგივრად 20 წუთი იყენებს. ასეთი დამოკიდებულების შემდეგ ის ან სამსახურიდან წავა, რაც ორგანიზაციის იმიჯზე იმოქმედებს ან დაკარგავს მოტივაციას. ამისი გამოსავალია სი, რომ მოვალეობები სწორად გადანაწილდეს და ყველას დაევალოს ის საქმე, რაც მას კარგად გადმოსდის. ეს დაკვირვებასა და დროს საჭიროებს. თუმცა წარმატების გარანტია ნამდვილად რეალურია. ზუსტად იგივეა სკოლის მაგალითზეც. როდესაც დირექტორი ფიზკულტურის მასწავლებელს ავალებს, რომ სასწავლო პროგრამაში ჭადრაკი დაამატოს და ბავშვები შეჯიბრისთვის მოამზადოს, ის ამას ვერ გააკეთებს. მარტივი მიზეზის გამო ეს მისი პროფესია არ არის. ამგვარ მაგალითებს საქართველოში არსებულ დაწესებულებებში ხშირად შევხვდებით.

მომდევნო მართვის პრინციპს **წარმოადგენს ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების არასათანადო განაწილება.**როდესაც მენეჯერი იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული პირისთვის ამა თუ იმ მოვალეობის დაკისრებას, მანამდე მან კარგად უნდა გაიაზროს ამ ადმიანის შესაძლებლობები და მიდრეკილებები. პიროვნება, რომლიც კარგი მენეჯერია სულაც არ ნიშნავს, რომ ის კარგი ლიდერიც იქნება. ზოგ შემთხვევაში მუშახელზე დაკისრებული ვალდებულება იმაზე მეტს მოიცავს ვიდრე თავად პოზიცია. ვფიქრობ, რომ მსგავსი ნიუანსები

საქართველოში არსებულ ორგანიზაციებში მრავლად გვხვდება. ამ ქმედების შემდეგ პერსონალი იწყებს ფიქრს, რომ მას იმაზე მეტს აკეთებინებენ ვიდრე მისი ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული და უჩნდება არასრულფასოვნების კომპლექსი. ის, რომ მას ან არ აფასებენ, ან მასზე ხორციელდება ზეწოლა და გადადის თავის დაცვის რეჟიმში. რაც ბუნებრივია დაწესებულების კრახით სრულდება.

ადამიანური ურთიერთობების დამოკიდებულებისა და მნიშვნელობის მკვლევარების აზრით მართვის პროცესში ჭეშმარიტ და წარმატებულ კონტროლს თავად მუშაკები ახორციელებენ და არა ავტორიტარული სადავეების მქონდე სუბსტანციები.

კულტურა. გააჩნია მას რა ასპექტში განვიხილავთ. თუ მართვის კულტურას ვგულისხმობთ მაშინ ეს სიტყვა იქნება საქართველოში არსებული სტუქტურების შინაგანაწესთა, ძალიან ნეგატიური პრაქტიკა გვაქვს, რაც თავითავად აისახება შედეგზე და მოგვიანებით, მთლიანად ქვეყანაზე.

კულტურა თავისი სპეციფიკით მოიაზრებს:

1. **საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო;**
2. **სოციალური ინსტიტუტი;**
3. **პიროვნების განვითარების დონის მახასიათებელი;**
4. **საზოგადოების მარეგულირებელი ნორმების სისტემა;**
5. **სოციალური გამოცდილების გადაცემის მექანიზმი;**
6. **თვითდეტერმინაციის ფენომენი და ა.შ.** [ვიკიპედია]

ყველა ზემოთ ჩამოთვლილთაგან ჩვენს საკვლევ თემასთან ახლოს მაინც - საზოგადოებრივი ცხოვრების სფერო და სოციალური ინსტიტუტის დეფინიცია დგას. გავრცელებული აზრით, კულტურის წინა პლანზე წამოწევს ადამიანს, როგორც უნიკალურსა და ცალკეულად შემოქმედებით არსებას. ამ მახასიათებლებით ის ქმნის ,,სამყაროს: და საზოგადოებას წარუდგენს ახალ, უნივერსალურ ადამიანს.

ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელსაც თავისი მართვის კულტურა გააჩნია იაზრებს ზემოთ აღნიშნულ რისკებს მართვის პროცესში და მიყვება ადამიანთა თავისებურებებს. სხვადასხვა ორგანიზაციები კულტურის აქილევსის ქუსლად მიიჩნევენ იმ ფენომენების

აღიარებას, რომლებიც წარმატებით რეალიზდებიან საზოგადოებაში და ინტეგრირდებიან, როგორც ინდივიდები.

სწორედ ამიტომ მართვის პროცესი კულტურის ასპექტების გააზრების ერთ-ერთი მძლავრი იარაღია, რომელიც ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს აძლევს საშუალებას საკუთარი კულტურული ღირებულებებიდან გამომდინარე წარუდგინონ საზოგადოებას თავი. საქართველოში არსებული პრაქტიკა მსგავს დონემდე ჯერ ვერ აღწევს. მთავარ პრობლემად კი მიმაჩნია ის დილემები, რომლებიც მრავალწლიანი არაეფექტური მენეჯმენტის შედეგად დამკვიდრდა.

კვლევა

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალურობის განსაზღვრის მიზნით, ჩავატარეთ სოციალური კვლევა. გამოკითხვაში 121-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. კვლევა ჩატარდა google-ის საანკეტო ფორმით. კვლევაში ერთიანდება თექვსმეტი კითხვა, რომელიც შედგება ღია და დახურული კითხვებისგან.

1. ასაკი:

121 responses



2. სქესი:

121 responses



3. განათლება:

121 responses



4. ანიჭებთ თუ არა საჯარო სკოლას უპირატესობას?

121 responses



5. რა არის საჯარო სკოლაში მიღებული განათლების პრიორიტეტი:

121 responses



6. საჯარო სკოლის ეფექტური მართვისათვის ცალსახადაა მნიშვნელოვანი:

121 responses



7. საჯარო სკოლის დირექტორისთვის უმთავრესია:

121 responses



8. მაღალმთიანეთის მაგალითზე, თანამედროვე საჯარო სკოლებისთვის უმნიშვნელოვნესია:

121 responses



9. მაღალმთიანეთის მაგალითზე, თანამედროვე საჯარო სკოლისთვის უმნიშვნელოვანესია:

121 responses



როგორც კვლევის შედეგები გვიჩვენებს, მაღალმთიან რეგიონებში განათლების პრობლემა გაცილებით უფრო მწვავედ დგას ქალაქებთან შედარებით. არსებობს ტენდენცია, რომ სოფლად მყოფი ახალგაზრდები არ ან ვერ იღებენ საფუძვლიან განათლებას არაკვალიფიციური პედაგოგების გამო. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მასწავლებლების გადამზადება და მათი მოტივაციის ამაღლების მიზნით გაატაროს შესაბამისი რეფორმები. სხვადასხვა სოციალური აქტივობების დაგეგმვით ის გაზრდის სწავლის ხარისხს რეგიონებში.

11. დღევანდელი გადასახედიდან, თვენი აზრით, აღნიშნული თემატიკასთან მიმართებაში, რა ტიპის რეფორმის გატარებაა აუცილებელი?

121 responses



10. თანამადროვე საჯარო სკოლას აკლია:

121 responses



12. როგორ შეაფასებთ, 2011 წლიდან სასერტიფიკაციო გამოცდების შემოღებას პედაგოგთათვის?

121 responses



13. რას ნიშნავს სერტიფიცირებული პედაგოგი ჯერ სკოლისთვის, ხოლო შემდეგ განათლებული სახელმწიფოსთვის?

121 responses



კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ სასერტიფიკაციო გამოცდების დანიშნვა სახელმწიფოს მხრიდან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. საზოგადოების დიდი ნაწილი აღნიშნულ ფაქტორს დადებითად აფასებს და თვლის, რომ რეფორმამ მთლიანად თუ არა, გარკვეული პროცენტით მაინც შეამცირა მასწავლებელთა ის კატეგორია, რომელსაც სათანადო პროფესიონალიზმი არ გააჩნდა. დღესდღეობით პედაგოგიური კოლექტივი

ცდილობს გაიაროს გადამზადების კურსები, რათა შეძლოს აღნიშნული სასერტიფიკაციო კურსის გავლა.

14. საგანმანათლებლო რეფორმისა და კანონის თანახმად, პედაგოგს აქვს კრედიტქულების დაგროვების შესაძლებლობა (მაგალითად, თუ 10 კრედიტი ვერ დააგროვა გამოცდაზე, რეფორმა მიღებული მინიმალურიდანაც აძლევს ათვლის საშუალებას, რაც შემდგომ მის მიერ სკოლაში განხორციელებელი სხვადასხვა აქტივობით გამოიხატება). როგორ შეაფასებთ, კანონის თანახმად, ამგვარ მიდგომას?

121 responses



15. რეფორმები,რომლებიც მიმდინარეობს განათლების სისტემაში:

121 responses



16. თქვენი იდეები და რჩევები საკვლევ თემასთან დაკავშირებით

34 responses

წარმატებას გისურვებთ

ჰაერივით მნიშვნელოვანია ან ტიპის კვლევა და შედეგების თანახმად, პრობლემაზე მუშაობის დაწყება და გადაჭრის გზების ძიებაა საჭირო.

თემა საინტერესოა.გამოცდების შესახებ

...

ფსიქოლოგია, ფილოსოფია, რელიგია...
სკოლებში!

უფრო მეტი დრო უნდა ქონდეთ დაწყებითი კლასის პედაგოგებს ბავშვებისთვის . ახალი მეთოდები დროს აკარგვინებენ პედაგოგებს რაღაც გაურკვეველი დავალებების შესრულებაში, რაც ზიანს აყენებს პატარებს და პედაგოგს დაღლულიბისგან აღარ რჩება დრო მეტი შემიქმედებისთვის.

მეტი მოტივაციის ამაღლება მოსწავლეებისთვის და პედაგოგებისთვის. მეტი კვალიფიციური მასწავლებლები საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

არ მაქვს

საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია, კარგი იქნება თუ მასწავლებლები ორიენტირებულნი იქნებიან არა კრედიტქულების მიღებაზე, არამედ
მოსწავლეთა ინტერესებზე...

საქართველოს საჯარო სკოლების მასწავლებლებმა პირველ რიგში ტოლერანტობა უნდა ისწავლონ, რათა ბავშვებიც ტოლერანტები აღვზარდოთ.

რეფორმა თანაბარწილად პრიორიტეტულად უნდა მიიჩნევდეს პედაგოგთა კვალიფიცირების ზრდას; მოსწავლეთა კონტიგენტის ზედა ოპტიმალური ზღვარის ნიშნულის (15); სკოლის აღჭურვას რესურსებით და სხვა საკითხებს. თუ ესენი ერთმანეთს არ ემთხვევა რეფორმის შედეგი ძნელი განსასაზღვრია.

.

ჩემი მოსაზრება! დაწყებით კლასებში უნდა ისწავლებოდეს მხოლოდ ქართული და მათემატიკა. მეხუთე კლასიდან მეათე კლასამდე უნდა იყოს გაძლიერებული სწავლა ზოგადი განათლებისთვის ხოლო ბოლო ორი წელი უნდა მივმართოთ პროფესიული საგნების ღრმად შესწავლისთვის რაც ხელს შეუწყობს ბავშვის დაინტერესებას მისი პროფესიისადმი ასევე მე-12 კლასი უნდა იყოს სავალდებულო სამხედრო სწავლებისთვის სადაც მოზარდი გაივლის სამხედრო ვალდებულებას!

სკოლა უნდა იყოს მოსწავლისათვის მიმზიდველი და არა სასჯელი.იქ მისვლა უხაროდეს უნდა. მასწავლებელს მოსწავლე პირველ ადგილზე უნდა ჰყავდეს და არ აძლევდეს მშრალ აკრძალვებს

ჩემი რჩევაა მოსწავლე დაემსგავსოს მოსწავლეს.უფრო მეტი სტიმული მივცეთ ბავშვებს რომ სწავლა

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სწავლა-განათლება ყოფილა ჩვენი არსებობის დასაწყისი და ალბათ მისივე განვითარება მოიტანს სამყაროს დასასრულსაც. როგორც აღმოჩნდა, ადამიანი ინოვაციების ამოუწურავი მადანია, რომელიც ყოველდღიურად რაღაც ახლის ძიებაშია. ვითარდება ტექნოლოგია, მეცნიერება. ახალი თაობა კიბერნეტიკულ სამყაროში იბადება ვითარდება.

განათლება ჩვენი ერის საწყისია. მისი არსებობა ჩვენი გონებრივი შესაძლებლობის ნაწილია. რომ არა წიგნიერება, ბევრი ისტორიული ფაქტი თუ მოვლენა ისევე გაქრებოდა, როგორც ის ადამიანები, რომლებიც იმ ეპოქაში ცხოვრობდნენ. **ცოდნის მიღების სისტემის მიზნები** საკმაოდ მრავალფეროვანია და თითქმის ადამიანთა მოღვაწეობის ყველა სფერო აერთიანებს. მსოფლიოს მასშტაბით ამ ინსტიტუციას პოლიტიკოსები საკუთარი მიზნებისთვის იყენებენ. სასწავლო საგნები ხელისუფლების მრწამსს ასახავს.

სასწავლო პროცესიც თავისთავად მიზანმიმართული ხდება, ქვეყნის მიერ მართული. ბევრი ვიმსჯელეთ, თუ როგორი უნდა იყოს სკოლა და მისი წესდება, სტრუქტურაზე, რა ხარვეზები და პრობლემებია თავმოყრილი ამ კონკრეტულში. გამოსავალიც დავსახეთ, თუმცა ამას მხოლოდ ერთი და ორი ადამიანის გულისტკივილი ვერ გამოასწორებს. სახელმწიფო, როგორც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ბერკეტების მქონე ინსტიტუცია, ვალდებულია ძირეულად შეისწავლოს და იკვლიოს თემა.

2006 წელს განათლების შესახებ გაეროს მონიტორინგის მონაცემების ანალიზით, დადგინდა, რომ მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით, **771 მილიონი, უკვე ზრდასრული ადამიანი გაუნათლებელია. ხოლო 99 მილიონზე მეტ ბავშვს განათლების მიღების სახსრები არ გააჩნია. ამ მოზარდებიდან კი 55% გოგონაა, რომლებისთვისაც ელემენტარული განათლებაც ხელმიუწვდომელია.** [შემეცნების სამყარო 93, 257] აღნსანიშნავია, რომ უწიგნურობა ინდუსტრიული და განვითარებული ქვეყნების ძირითად ნაწილში ერთ პროცენტზე დაბალ მაჩვენებელს მოიცავს.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა კვლევამ საგანმანათლებლო სივრცეში რამდენიმე ხარვეზი გამოკვეთა. დახვეწას საჭიროებს რიგი საკითები, რაც კანონთან შესაბამისობაში და განათლებული რესურსით უნდა შევძლოთ. არ ხორციელდება სწორად ინიცირებული რეფორმები, ის, რომელიც ბავშვის ჯანსაღ გარემოზე იქნება ორიენტირებული და არა ძვირადღირებულ პროექტებზე. რა გასაკვირიც არ უდნა იყოს, საგანმანათლებლო სკოლებს შორის ელემენტარული შეჯიბრის ფაქტორიც კი არ არსებობს, რათა მეტად განვითარდნენ და წინ წაიწიონ. ჯანსაღი კონკურენცია ხელ შეუწყობდა საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინოვაციის დანერგვას. მსგავსი პრაქტიკა ჩვენთან არ არსებობს, რადგან სკოლებს მოტივაცია არ გააჩნიათ. დაწესებულებებს შორის აქტიური სპორტული თუ საგანმანათლებლო აქტივობები არ ხორცილდება. ასეთი სახის რეფორმები კი პირდაპირ მიმართულია განვითარებისაკენ

მსჯელობის სხვა საგანი გახდა **პედაგოგიური ინსტიტუცია.** აღნიშნულ თემაზეც საკმაოდ ბევრი ვისაუბრეთ, ამიტომ მხოლოდ შეჯამებით შემოვიფარგლები. სისტემა არ მუშაობს. სასერტიფიკაციო შედეგების უმრავლესობა თითიდან გამოწოვილი ინფორმაციას შეიცავს, მაშინ როდესაც მასწავლებლების ნახევარზე მეტი ზღვარს ვერ სცილდება, ფაქტობრივად, პედაგოგიური კონტინგენტი ძალიან დაბალია. ან არის და შედარებით სუსტი. მძიმე ფონს ქმნის მაღალმთიან რეგიონებში მათი პროფესიონალიზმიც.

სწორედ ამიტომ, სახელისუფლებლო წარმომადგენლებმა უნდა იზრუნონ საკუთარი მომავალი თაობის განვითარებისთვის, ხელი შეუწყონ და განახორციელონ რაც შეიძლება მეტი სოციალური პროგრამა, გასცდნენ საზღვრებს და აქტიურად ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზაციებთან, აიღონ კარგი მაგალითი და უკუაგდონ ცუდი. ისტორიულმა მიმოხილვამ ჩვენ ქვეყანაში ჯერ კიდევ საუკუნეებს მიღმა გამოკვეთა მაღალი განათლების პრიორიტეტი. ამით იმის თქვა გვინდა, რომ ქართული სახელმწიფო ჭეშმარიტად ეროვნულობაზე უნდა აკეთებდეს აქცენტს და რეფორმები ეროვნული საქმეების კვალდაკვალ. გათვალისწინებით უნდა ხორციელდებოდეს. ცხადია, ეს არც იმას ნიშნავს, რომ ჯანსაღი სიახლეები მიუღებელია, ამავდროულად, მნიშვნელოვანია რეფორმები კვლევებზე დაყრდნობით

და თაობათა შეთანხმებით იყოს მიღებული, რადგან ეფექტურობის ერთ-ერთ შტრიხს ეს ფაქტორიც განსაზღვრავს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. სტენლი პოერტერი - Porter Stanley E. 2001. Handbook of Classical Rheoretic in the Hellenistic Period 330B. C.-A.D.400. Brill;
2. ჰარვი იუნისი - Yunis Harvey, 2003. Written Text and the Rise of Literature Culture in Acient Greece. Cambridge University Press;
3. ჯოშია ობერი - Ober Josiah – 1989. Mass and Elit in Democratic Athens: Rheoteric, Ideology, and the Power of the People. Princetone University Press;
4. ობრეი გუინი - Gwynn Aubrey – 1926. Roman Education drom Cicero to Quintilian. Clarendon Press;
5. CVIL EDUCATION OPEN SOCIETY- GEORGIA 2007;
6. THE SALAMANKA STATEMENT AND FRAMEWORK FOR ACTION ON SPECIAL NEEDS EDUCATION, 1994;
7. Convention on the Right of Persons with Disabilities;
8. მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა;
9. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია;
10. ინკლუზიური პროფესიული განათლების გზამკვლევი,2016;
11. ბავშვის უფლებათა კონვენცია;
12. საქართველოს კონცტიტუცია;
13. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ (ბილიოთეკის ჩანაწერები);
14. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ;
15. შემეცნებითი სამყარო 2009 წლის გამოცემა;
16. გრ. ბარამიძე, გ ჯაკობია - 1946. ქართული ლიტერატურა - VIII კლასის სახემძღვანელო, საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტი;
17. ვალერიან რამიშვილი - 2010, ფილოსოფია, მეორე გამოცემა;

18.მასწავლებელთა ეროვნული განვითრების ცენტრი - 2017, ,,სამეცნიერო კონფერენცია - ღირებულებები და განათლება“;

19.საქსტატის მონაცემები 2016 – 2019.

ინტერნეტ წყაროები:

1. UNISEF.GE
2. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?
3. https://sol.du.ac.in/solsite/Courses/UG/StudyMaterial/16/Part1/ED/English/SM-1.pdf
4. https://www.ambebi.ge/article/234925-iv-saukunis-kartul-umagles-skolebshi-sascavleblad-berznebi-chamodiodnen-ras-ascavlidnen-gelatis-da-iqaltos-akademiebshi/
5. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/2998/1/KartuliLteraturisIstoria_Tomi_I.pdf
6. https://giorgilomouri.wordpress.com
7. https://ka.wikipedia.org
8. http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_fsiqologia/zaqaria_qitiashvili.pdf
9. https://emc.org.ge/ka/products/umaghlesi-ganatleba-rogorts-sabazro-produkti
10. https://www.ge.emb-japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Education.pdf
11. https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5265_1.pdf
12. http://mastsavlebeli.ge/wp-content/uploads/2017/10
13. https://www.geostat.ge/ka